წელიწადი მეორე  ფასი 5 კაპ.  სამშაბათი 1 მარტი 1916 წ.  № 47

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი, პირველ გვერდზე [illegible] კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.
გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

საგალანტერიო მაღაზია
**ერ. ივ. ჭავჭანიძისა და**
**ი. ი. გველესიანისა**
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**
**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**
(101—წ.)

საუკეთესო კახური
**ღვინის საწყობი**
ადამ ზურაბის ძის
**ბერელაშვილისა**
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

**შეშის საწყობი**
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში
**საკუთარი ტყიდან**
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.)  ტელეფონი 5—96.

ქ. ბაქოში
**ღვინით ვაჭრობა**
**„მელაანი“**
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

[illegible]ოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის [illegible]უთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
**ახალი აფთიაქი**
პროვიზორის ახვლედიანისა

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
[illegible]ებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. [illegible] საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ექიმი-დოსტაქარი
**ბ. მ. მუხაძე**
[illegible]ებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 [illegible]ათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი [illegible] დიდი მთავრის ქუჩისა, სახ[illegible] სვანიშვილისა; შესავალი დიდი [illegible]ავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა [illegible]ონომიური საზოგადოების შენობის [illegible]რდაპირ. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
**კალანდარიშვილი**
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს** ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ექიმი
**მ. დ. წინამძღვრიშვილი**
**უ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**სასტუმრო „ავრორა“**
ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.
უაღრესი სიფაქიზე. **ელექტრონის განათება**
ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად
ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებშია.
თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.
**სასტუმროსთან მოწყობილია**
**სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.**
თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.
(წ.—)

პირველი წელი  პირველი წელი

მიიღება ხელის მოწერა

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან
სამ თვეში ერთხელ გამოვა
**კაზმული და სამხატვრო კრებული**
**„მ ე რ ა ნ ი“**
**კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი.** ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.
ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.
**გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.**

28 თებერვალს, ქ. ქუთაისში გამოვიდა ჟურნალი, ალმანახი
**„ახალი ცისკარი“**
შემდეგი შინაარსით:
I. **პოეზია.** ია ეკალაძე—შვილი მუშა ბოქულაძისა. **გალაქტიონ ტაბიძე**—კოშკი. **ნ. ჩხიკვაძე**—განცდა მგოსნისა. **ვ. რუხაძე**—მე ბუნების მიჯნური ვარ. **გ. მეგრელიშვილი**—ქურუმი. **ლადო მაჭავარიანი**—მზე-ქალი. **მ. ანაშვილი**—მოგონება. **სიმ. წეველი**—გედი.
II. **პროზა.** **დემნა შენგელაია**—მემომნის ძეგლი. **ნიკ. ასათიანი**—ფურცელი სიყვარულისა. **ნ. მიწიშვილი**—ძველი ლეგენდა. **ვასო ჭითავა**—და-ძმა. **ბ. მირზაშვილი**—ვარდი. **ირ—დი**—პირველი ნაბიჯი.
III. **კრიტიკა.**
IV. **ბიბლიოგრაფია.**
**მიმოხილვანი.**
**ფასი ყველგან ორი შაური.**

6 მარტს 1916 წელს მოხდება
**ქ. სიღნაღის ახალ კლუბის ბინაზე დილით 10 საათ.**
**მომხმარებელ საზოგადოება**
**„მეგობრობის“**
**წლიური საზოგადო კრება**
**განსახილველია:** 1) წლიური 1915 წლ. ანგარიში, 2) მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 3) საპაიო და საწევრო გადასახადის შემცირება და 4) გამგეობის წევრების არჩევა. თუ 6-ში კრება არ შესდგა, მეორე კრება გაიმართება 13 მარტში და მაშინ კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.
**გამგეობა.**
(2—64—1)

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი,** 27 თებერ. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი**

გერმანელთა ორი თვალსაჩინო მზვერავი რაზმი შეეცადა რუსთა თხრილებს მოახლოვებოდა, მდ. ოლდენვეიცსა და სუსეზთან, მაგრამ უკუგდებულ იქმნა საარტილერიო ცეცხლით. რუსთა მძიმე არტილერიამ გაჰფანტა გერმანელთა მწკრივი რაზმები, რომელნიც დვინსკის პოზიციების მარჯვენა ფლანგზედ მოდიოდნენ. გერმანელთა არტილერია $1^1/_2$ საათის განმავლობაში ტყვიას უშენდა რკინის გზის სადგურს კალკუნს. დაბა კოლკის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონში გერმანელები ეცადნენ რუსთა თხრილებთან მიახლოვებულიყვნენ, მაგრამ სროლით ხელი შეუშალეს. მდ. სტრიპის შუა მდინარეობაზე მზვერავნი ერთმანეთს შეეტაკნენ და რამდენიმე ტყვე წამოიყვანეს. ჩერნოვიცის აღმოსავლეთით რუსთა არტილერიამ მარჯვედ დაუშინა მტრის ბატარეიას, როდესაც იგი გადაჰქონდათ. შენიშნეს, რომ მიზანში მარჯვედ მოარტყეს როგორც ზარბაზნებს, ისე დატენილ ყუთებს.

**კავკასიის ასპარეზი.** რუსები წინსვლას განაგრძობენ.

**პეტროგრადი,** 28 თებერვალი. **ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი.**

ბერზემიუნდესთან გერმანელებმა დიდი ყალიბის ნაღმების სროლა დაუწყეს რუსთა თხრილებს. გალიციაში, დნესტრზე, რუსთა მზვერავები მივიდნენ სოფ. ლატაჩთან. მიუხედავად სასტიკი სროლისა მზვერავნი დაუზარალებლივ გამობრუნდნენ.

**შავი ზღვა.** 25 თებერვალს რუსთა ორი ნაღმოსანი საზვერავად მიუახლოვდა ვარნას, მაგრამ აქ იერიში მოიტანეს მტრის წყალქვეშა ნავებმა. ერთი ნაღმოსანი ჩასძირეს „ლეიტენანტ პუშჩინი“, მისი მეზღვაურენი გადაარჩინა მეორე ნაღმოსანმა.

**კავკასიის ასპარეზი.** სპარსეთში ბაღდადის გზაზე რუსებმა აიღეს ქალაქი ქერენდი.

---

**კოპენჰაგენი,** 26 თებერ. „ნორდდეიჩე-ალჰემაინე-ცაიტუნგმა“ გამოაქვეყნა უწყება, სადაც ნათქვამია, ათ თებერვალს პორტუგალელთა მიერ გერმანელთა გემების რეკვიზიციის გამო გერმანეთის მთავრობამ საპროტესტო ნოტა წარუდგინა გემების გასანთავისუფლებლად. გერმანეთის ელჩმა ამ ნოტის უარყოფითი პასუხი მხოლოდ 20 თებერვალს დაუბრუნა თავის მთავრობას. ამის შემდეგ გერმანეთის ელჩს ლისაბონში შეატყობინეს, პორტუგალიის მთავრობას ომი გამოუცხადეო. ამიერიდან გერმანეთის მთავრობა საომარ განწყობილებაში სთვლის თავის თავს პორტუგალიის მთავრობის წინააღმდეგ.

**პარიზი,** 26 თებერვალი. დღისით მოსული ოფიციალი ცნობა. მაასის დასავლეთით და აღმოსავლეთით მდგომარეობა არ შეცვლილა. მთელი ღამის განმავლობაში გერმანელთა ქვეითა ჯარს იერიშები არ მოუტანია ჩვენს პოზიციებზე. მთელს ფრონტზე არ შეწყვეტილა ზარბაზნის გრიალი, განსაკუთრებით მკაცრი ხასიათისა იყო მაასის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე. ვევრში ხანგამოშვებით საარტილერიო სროლა იყო. ელზასში ჩვენმა ბატარეიამ დაანგრია გერმანელთა თხრილები „425“ მაღლობზე, ტონის აღმოსავლეთით. აგრეთვე მოხდა საჰაერო ბრძოლა, რომლის დროსაც 15 ჰაეროპლანი გააქციეს, 10 კიდევ მათსავე ხაზს იქით პირდაპირ ჩამოეშვნენ. ამის გარდა შამპანში ვგონებთ 2 ჰაეროპლანი დავღუპეთ, ერთი „ფოკერის“ ტიპისა, ხოლო ვერდენის რაიონში გავაფუჭეთ მათი სამი აპარატი, რომელნიც მათსავე ბანაკში ჩამოეშვნენ.

**პარიზი,** 26 თებერვალი. საღამოთი მოსული ცნობა. არტუაში ლილის გზის დასავლეთით გერმანელებმა ნაღმი ააფეთქეს, მათი ნათხარის პირი ჩვენ დავიჭირეთ. არგონებში, გერმანელთა მჭიდრო რაზმები გამოეშურენ მონფოკონუს ტყისკენ, მაასის დასავლეთით, სადაც საარტილერიო სროლა მძვინვარებდა. მთელი დღის განმავლობაში მტერი შეუწყვეტლივ მოდიოდა კორბოს ტყისკენ. რამდენჯერმე მოვიგერიეთ მათი იერიშები. მიუხედავად ამისა საბოლოოდ მთელი დივიზიით მოიტანეს იერიში და მხოლოდ ამის შემდეგ დაიჭირეს კორბოს ის ნაწილი, რომელიც 24 თებერვალს დავიბრუნეთ. მდ. მაასის აღმოსავლეთით გერმანელებმა ორჯელ მოიტანეს იერიში დუომონის დასავლეთით. სოფელ ვოზე საიერიშოდ განემზადნენ გერმანელები, მაგრამ გამოლაშქრებაში ხელი შევუშალეთ. გუშინ ვოსფორტთან ბრძოლაში გერმანელთა ქვეითი ჯარი დიდად დაზარალდა. ვევრში სროლამ მძაფრი ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით ეიქსთან, ვულენვილთან, ვილ-სუბონშანთან და ბოლზესთან. გერმანელებმა მდ. მაასში ჩაჰყარეს მცურავი ნაღმები, რაიც ისე ამოვკრიბეთ კიდეც, რომ არავითარი ზიანი მიუყენებიათ ჩვენთვის. ლოტარინგიაში მძვინვარე არტილერიის ცეცხლით დავანგრიეთ მტრის სიმაგრენი ალევილ-ბრემენილის ხაზზე.

**ლონდონი,** 26 თებერვ. მესოპოტამიდან მოვიდა ცნობა: გენერალი ელმერი 24 თებ. განაგრძობდა ოპერაციებს ტიგროსის ნაპირებიდან 7—8 მილის მანძილზე, მაგრამ რაკიღა წყალი შემოაკლდათ, იძულებული გახდა უკან დაეხიათ. უკან დახევამდე მან ჯერ დაჭრილები უზრუნველ ჰყო, დააბინავა, წინასწარ დაჰგზავნა სამშვიდობოზე.

**პარიზი,** 27 თებერვალი. ჰავასის სააგენტო იუწყება: მთელ ღამის განმავლობაში 27 თებერვალს გერმანელებს იერიშები მოჰქონდათ ვერდენის რაიონში. უმთავრესად სასტიკად იბრძოდნენ იმ ფერდობთან, რომელიც გადაჰყურებს მორტომოზს. იერიშები მოგერებულ იქმნა. გერმანელებმა მხოლოდ სოფლის განაპირა სახლები აიღეს, აქედან ფორტისკენ გამოემართნენ, მაგრამ ჩვენმა არტილერიის ცეცხლმა შეაჩერთ. მათ დაიხიეს მავთულებიან ღობეებამდე. დღისით, 27 თებერვალს მტერმა მოქმედება შეანელა. საარტილერიო სროლა გაცილებით ნაკლები ძალოვნებით იყო. დროებითი შეჩერება უეჭველია გამოწვეულია ზოგიერთა პოლკების შესავსებად, რომელთაც ამ დღეებში დიდი ზარალი მოუვიდათ. გერმანელთ დღითი-დღე დიდი ზარალი მოსდით, რაიც საუკეთესო თავდებია ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვებისა.

**პარიზი,** 28 თებერვალი. დღისით მოსული ოფიციალი ცნობა. მდ. ენზე ძლიერი საარტილერიო სროლა მოხდა დე ბოტის ტყის რაიონისა და ვილობუას სამხრეთ რაიონის შუა. მდ. მაასის მარცხენა ნაპირზე საკმაოდ მკვირცხლი ბრძოლა მოხდა, ბეტანკურის რაიონში. მარჯვენა ნაპირზე გერმანელებმა პატარა იერიში მოიტანეს ხელით სასროლი ყუმბარებით, კარსეს ტყის მახლობლად, პუავსეს მაღლობზე. ეს იერიში სულ ადვილად იქმნა მოგერებული. სასტიკი საარტილერიო სროლა არ დამცხრალა დიუომონის ფორტის აღმოსავლეთით და ვოგოჟის ფორტის რაიონში, სადაც აგერ ეს მესამე დღეა გერმანელთ აღარ განუახლებიათ იერიშები. ვევრში დღის დამლევს, ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ, გერმანელებმა მოახერხეს რამდენიმე თხრილის აღება. ლოთარინგიაში მზვერავთა შეტაკება მოხდა არაკურას დასავლეთით. დანარჩენ ფრონტზე შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

**ლონდონი,** 26 თებერ. ასკვიტი იტყობინება ამ ომიანობის დროს მშვიდობიან მცხოვრებთა შორის ინგლისში მოიკლა 49 კაცი, 39 ქალი, 39 ბავშვი ცეპელინებისაგან: 127 კაცი, 92 დედაკაცი და 57 ბავშვი. გემებზე 2750 მამაკაცი.

**ლონდონი,** 26 თებერ. ჯავშნოსანი „ბუკეტი“ და „11“ ნაღმს დაეჯახნენ ინგლისის აღმოსავლეთ ნაპირთან. დაიღუპა 44 ოფიცერი და 41 მეზღვაური.

ლოიდის ცნობით ფრანგების გემი „ვილ-დე-ჰავრი“, დატვირთული, ნაღმს დაეჯახა და დაიღუპა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**ბრძოლა ვერდენთან.**

„ზაპოროჟეც“-ი „რ. ვ.“-ში სწერს: 15 თებერვლიდან ვერდენის მიდამოებში ცვლილება მოხდა, ფრანგებმა ერთი წყება სანგრებისა დასტოვეს და ეს ადგილები გერმანელებმა დაიჭირეს. ვერდენის მდგომარეობა ფრიად სერიოზულია. მდგომარეობა უფრო გართულდა მას მერე, რაც გერმანელებმა ჩრდილოეთ-დასავლეთიდან მოუარეს მდ. მაასის ხიდებიდან გერმანელები 7—8 ვერსის მანძილზე სდგანან. აქ მათ, უეჭველია, აქვთ დიდძალი შორსმსროლი მძიმე ზარბაზნებით 10—12 დუიმიანი ყალიბის ზარბაზნები აქვთ.

ფრანგების მეციხოვნე ჯარი ვერდენში დიდს გმირობას იჩენს. გერმანელებს აქ დიდძალი რჩეული ჯარი ჰყავთ, გამანადგურებელი ზარბაზნები.

ვერდენი ერთად-ერთი სიმაგრეა, რომელიც გერმანელებს პარიზისაკენ გზას ულობავს. ეს გზა პარიზისაკენ მართალია, უფრო გრძელია, მაგრამ მეტად მოწესრიგებულია და ლიანდაგებით დაქსელილი. პირდაპირი რკინის გზა და გზატკეცილები მიიმართება გერმანეთიდან პარიზისაკენ. გზატკეცილი მიდის მეციდან ვერდენზე მარნაზე მდებარე შალონით.

**ჯარის რაოდენობა ვერდენთან.**

ლონდონიდან ცნობაა, ლორდ ნორტკლიფის აზრით ვერდენთან გერმანელებს ერთი სამად მეტი ჯარი ჰყავსო ვიდრე ფრანგებს.

---

ვერდენის ბრძოლის გამო „ფოსიშე ცაიტუნგ“-ი სწერს: დასავლეთის ასპარეზზე დიდი გადამწყვეტი ბრძოლა სწარმოებს. შესაძლებელია ეს იყოს დასაწყისი ომის დასასრულისა. ვერდენთან ბრძოლა ერთი ამ თვალსაჩინო ნაბიჯთაგანია.

**ფორჟის აღება.**

ფრანგების საომარი ხაზი ვერდენთან მდ. მაასის მარცხენა ნაპირას არის მალანკურ-ბეტანურ-ფორჟი რე-

ნევილამდე. ამ მიდამოებში რამდენიმე მაღლობია 100—300 ადლის სიმაღლისა. გერმანელებმა მოიწადინეს დელუას სიმაღლის აღება ფორჟის სამხრეთით, აიღეს ფორჟი.

## უკანასკნელი ფოსტა

**პორტუგალია და გერმანია.**

პორტუგალიამ გერმანეთის გემები დაატყვევა, რის გამოც ლისაბონში მყოფი გერმანეთის ელჩი გერმანეთში დაიბარეს. ეს უკვე ომის გამოცხადებაა. პორტუგალია თავის სამხედრო ძალას თავს უყრის. პორტუგალიას შეუძლიან თავისი მიწა-წყლის გარედ გაჰგზავნოს 100 ათასი მეომარი—სწერს „ბირჟ. ვედომოსტი“ პორტუგალიის მინისტრ-პრეზიდენტმა კოსტამ პალატის დეპუტატებისაგან რწმუნებულება მიიღო, რომ არსებული განხეთქილება მხოლოდ ქაღალდზე არ დარჩესო.

**ახალი დრედნოუტები.**

ავსტრია-ჰუნგრეთის გემთა საამშენებლო ქარხანაში სწრაფად ამთავრებენ ორს დრედნოუტს ოსმალეთისათვის.

**რკინის გზები პოლონეთში.**

ავსტრია-ჰუნგრეთს პოლონეთში გაჰყავს ახალი ლიანდაგები 300 ვერსის მანძილზე. ივანგოროდ-მეხოვის გზაზე მარტში დაიწყება მოძრაობა.

**პორტუგალიის ჯარი,**

ინგლისის ცნობებით პორტუგალიას ნახევარი მილიონი ჯარის გამოყვანა შეუძლიან.

**ოსმალეთის მაშველი ჯარი.**

ბულგარეთიდან ოსმალეთის ყველა ჯარები კავკასიის ასპარეზისაკენ გაიგზავნა. თრაკიიდან ჯარი სტამბოლში გაუგზავნიათ კავკასიის ასპარეზისაკენ გაგზავნილ ჯარის ადგილებში.

## ბრძოლის ველზე

მთავარი ყურადღების ობიექტი ბრძოლის ველზე, რა თქმა უნდა, ისევ ვერდენია. საზოგადოებრივი ნერვიული მდგომარეობა ბუნებრივად ითხოვს საკითხის გარდაწყვეტას. ორთავე მხრით ასეთი დაჟინებული თავგანწირულება აღიზინებს როგორც მებრძოლთ, ისე ბრძოლის ველზე დაშორებულს საზოგადოებას, რომელიც ნაკლებათაა ბრძოლის საკითხის სირთულეში ჩარეული და ექსპრესში ჩაბრძანებული მხოლოდ ერთსა და იმავე საკითხს იძლევა: „არა თავდება ომი? აიღეს ვერდენი?“ გულუბრყვილობაა ასეთი საკითხი. ავიწყდებათ, რომ ახეთ დედაბოძის წამოქცევა, როგორ ვერდენია ადვილი საქმე არ გახლავთ; ავიწყდებათ აგრეთვე, რომ საფრანგეთი ცოცხალის თავით ადვილად არ დაუთმობს მას, არ დაუთმობს თუნდა იმიტომ, რომ ვერდენის დაცემით ზნეობრივად დასცემს და სულიერად დააძაბუნებს ფრანგ მხედრობას, რაიც დამარცხების სიმპტომი იქნება კიდეც, ასეთ თვალსაჩინო საფარის დაკარგვა სწყვეტს ბრძოლის საკითხს, თუნდაც გარდაწყვეტა იგი დაგვიანდეს მთელი თვეობით. განა ასე არ იყო 1870—71 წლებშიც? გერმანელთა მიერ სედანთან გამარჯვებამ უკვე ექსი თვით ადრე იწინასწარმეტყველა და გადასჭრა ფრანგთა საბოლოო დამარცხების საკითხი, თუმცა იმავე ფრანგებმა დაიჟინეს და ქედი მხოლოდ პარიზის დაცემის შემდეგ მოიხარეს. აი, ამიტომაცაა, რომ ფრანგები ასე თავგამოდებით იცავენ ყოველს ნაბიჯს ვერდენის გარშემო. ბუნებრივი მდებარეობა ვერდენისა გაცილებით ხელსაყრელია ფრანგთათვის, ვიდრე გერმანელთათვის. შედარებით ფრანგებს სულ მწვერვალები უჭერიათ, მაღლიდან არწივებსავით დაჰყურებენ დაბლა მომდინარე ლაშქარს. თვითონ ციხე ჯერ კიდევ ძველად მრისხანე მოდარაჯე იყო, მისი ფორტები მსოფლიოზე საუკეთესო კონსტრუქციის ბურჯებს შეადგენენ. უკვე დანგრეული და მიწასთან გასწორებული ერთი ძლიერი ბურჯთაგანი დუომონი, ანუ სადღეისო ბრძოლის მთავარი საგანი ფორტი ვო, ბურვო, მორდიგრა, ანუ კიდევ ფორტები მულენვილ, სამხრეთით როზელიე და სხვები ეს უბრალო სახელწოდებანი კი არ არის, არამედ მრისხანების თანამნიშვნელოვანი ციხე-ბურჯნი, რის წინაშეც ზეკაცური ძლიერების გამოჩენამ საჭირო და არა კაპრიზთა მოუთმენლობის დაჟინება: ცელქობით აღება!

ვერდენი, როგორც ციხე, საიდუმლოთა რიცხვში ჩაეწერა დღიდან ომის გამოცხადებისა. ჩვენ არ ვიცით, რა პიროებში დარჩა, გააძლიერეს იგი ბატარეებით თუ მართალია როგორც ერთხელ მოვიხსენიეთ ფრანგულ გაზეთ „Tan“-ის განცხადება, რომ ვერდენი ციხე აღარ არის, ზარბაზნები მოხსნილია და მის მაგიერ მიწური თხრილებია გამართულიო.

ასეა თუ ისე, დღეს-დღეობით მხოლოდ ის გამოირკვა, რომ ვერდენთან დემონსტრაციები კი არა, არამედ ნამდვილი ომები ხდება, იგი შესავალია გენერალური ომისა, რომელიც ახლო მომავალში მოხდება კიდეც სწორედ ამ ფრონტზე. საქმე ისაა, რომ ვერდენი კარია, საიდანაც საუკეთესო გზები იშლება საფრანგეთში შესაჭრელად. თუ კი ეს განზრახვა შეასრულეს გერმანელებმა, მაშინ შამპანში მთელი წლის პოზიციური ბრძოლა ფრანგებისა სრულიად ამაოდ ჩაივლის, ვინაიდან ფრანგები იძულებული გახდნენ დაიხიონ პარიზ-მარნისაკენ, რომ საშუალება არ მისცენ მტერს ზურგში მოექცეს იგი მათ. მაშასადამე, წინასწარმეტყველება სამხედრო მიმომხილველთა, ვითომც გენერალისიმუსი ჟოფრი ცივად დასთმობდეს ვერდენს, ეს სხვა რომ არა ვთქვათ რა, გაუგებრობა იქნებოდა. ვერდენის მნიშვნელობა იმდენად ძლიერია, რომ მისთვის სისხლის დაღვრა ღირს რადმე. აქაა, აქ იჭედება ამ ბრძოლის საშინელი ბოლო, საკულმინაციო წერტილი უდიდესი კატასტროფა.

ვერდენთან ბრძოლა სიმკაცრით ოდნავაც არ ნელდება. შტრანცის არმია ისევ ახმაურდა და ფართე მანევრებით ხელს უწყობს კრონპრინცის არმიას ვერდენის დასავლეთით შემოსატევად. თვითონ შტრანცი მძიმე არტილერიის საშუალებით დუომონის მხრით ათი ვერსის მანძილზე ანადგურებს ყოველისფერს. ბრანდენბურგის სახელოვანი პოლკები აქედან სცდილობენ ვოგოჟის ფორტის გადანგრევას, როგორც ეს უკვეს თვითონ დუომონის ფორტს. ასეთივე იერიშები მიაქვთ ბეტინკუსის რაიონში. მხოლოდ დიდი მსხვერპლის შემდეგ ეღირსა აქ კრონპრინცის არმია ტაქტიკურს წარმატებას. როგორც ვიცით ამ ფრონტზე, ბეტინკურიდან მოყოლებული მაასის მარცხენა ნაპირამდე აგერ ათიოდ დღეა რაც იბრძვიან გერმანელები. მთავარი იერიშები ფორჟიდან მოჰქონდათ. 22 თებერვალს ოფიციალ ბილიუტენებმა გვაუწყეს ფორჟის დაცემა, შემდეგ კორბოს ტყის გარშემო ბრძოლა, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა და საბოლოოდ, როგორც გუშინწინდელმა დეპეშამ გადმოგვცა, კიდეც დაიმკვიდრეს გერმანელებმა.

კრონპრინცის არმია, როგორც ვარაუდობენ მიმომხილველნი, აქ 4—5 კორპუსს უნდა შეადგენდეს. აი ეს ძალები ემუქრებიან ვერდენს ჩრდილო-დასავლეთით. როგორც ჩვენი კორესპონდენტი გადმოგვცემს დღევანდელ დეპეშით, კლემანსო მითხოვს ამ ადგილებში რეზერვებიც გამოიყვანონ ფარნგებმა, რისკს რა მოერიდნონ. შესაძლებელია, ჟოფრმა არ შეიწყნაროს ეს მოთხოვნა შორს მჭვრეტელ დიპლომატ ჟორჟ კლემანსოსი, მაგრამ რომ ყურადსაღებია მისი რჩევაც, ესეც აშკარაა და აი რატომ: აქ მართლაც რისკზე მიდგა საქე. თვით გერმანელებიც შესაძლებელია, ძლიერმა ფორტუნამ ამ წერტილზე შეაყენეს და ცივი ანგარიშის მიუღებლივ ახლა რისკობდნენ. თუ გასჭრა მათმა რისკმა, მაშინ მრისხანე ელვით დაჰკრავენ ვედრენს ჩრდილო დასავლეთით, ციხეს სტრატეგიულ სიძლიერეს შეუნელებენ და აიძულებენ ფრანგებს დასტოვონ მთელი რიგი სიმაგრეებისა, რაც მთავარ ციხის დასაფარავად გაყოლებული აქვთ მაასის მარჯვენა ნაპირზე, ან და ფრანგებს ფართო ბრძოლაში ჩაითრევენ კოტ-დე-უას მაღლობებზე, რაიც ასე რიგად ენატრებათ მათ და მით დაათავებენ ციხის ოპერაციას.

სხვა მოვლენათა შორის, რაიც ართულებს ომის საკითხის გარდაწყვეტას, გახლავთ პორტუგალიასთან დამოკიდებულების გამწვავება, რაიც საცაა ომის გამოცხადებით დათავდება კიდეც.

[illegible]

X.

### ტფილისი, 1 მარტი.

**საჭიროა საკრებულოების თვითმოქმედება.**

[illegible] ენერგია, რომ ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენოს ამ ინსტიტუტის უფლება-უპირატესობა და ის პრესტიჟი, რომელიც მას აქვს მთავრობის თვალში, და რომ აგრეთვე ქვეყნისავე სასარგებლოდ დაატრიალოს მისი ქონება და შემოსავალი. ჩვენი საზოგადოებრივი განვითარება და აზროვნება მტკიცედ შესდგა დემოკრატიულ დონეზე. ამ საღ სულს ყოველს კერძო დაწესებულებაში შეაქვს ხალხოსნობისა და თვითმოქმედების სტიმული. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენი დეპუტატთა საკრებულოები არსებითად წოდებრივი დაწესებულებანი თავიანთ ქონების დიდ ნაწილს ეროვნულ-კულტურულ საქმეს ახმარებენ, საიდანაც განდევნილია ყოველივე წოდებრივი, ან უკეთ სადაც შერიგებულია და შეთანხმებული ყველა წოდება.

საქართველოში თავად-აზნაურობას ძველი ძლიერება და ნიადაგი რომ ჰქონდეს და მის იდეოლოგიას ერთ-ერთი საპატიო ადგილი რომ ეჭიროს ჩვენში გაბატონებულ იდეოლოგთა შორის, მაშინ, ეჭვი არაა, დღევანდელი ჩვენი საკრებულონი, სადაც დიდი ცენზიანები, ან კიდევ ძველი გენერლები სხედან, თავის გავლენას და შემოსავალს წოდებრივ ინტერებს შეალევდნენ, როგორც ეს ხდება რუსეთში თუ სხვაგან.

ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული პოლიტიკურ-ეროვნული მდგომარეობა ყოველ წოდებისა და საზოგადოებრივ კატეგორიების წინაშე საერთო ეროვნულ პრობლემას განსაკუთრებულის სიმწვავით წამოაყენებს. მუშავდება ერთგვარი საერთო მისწრაფება და [illegible] თის თავად-აზნაურობის დეპუტატის საკრებულოს საამისოდ საკმაო ძალა და ღონე შესწევს. საჭიროა მხოლოდ მისი ამოქმედება.

## პრესის მაგიერ

„სახალხო ფურცელი“ ეხლა იმის მტკიცებას შეუდგა, რომ ვითომც ჩვენ პოლიტიკას უარვყოფდეთ და აპოლიტიკურ სულისკვეთებით ვიყოთ გაჟღენთილი. ეს რომ ასე იყოს, რასაკვირველია, ჩვენის მხრით დიდი შეცდომა იქნებოდა. ჩვენი მაგვარი მიმართულებები ამას იქაც სჩადიან, სადაც ეროვნული ცხოვრება მკვიდრ ნიადაგზე სდგას და ბუნებრივად ვითარდება. ჩვენ კი ხომ ბევრი რამ გვაკლია და როგორც ეკონომიურ სფეროში, ისე უფლებრივადაც ბევრი რამ გვაქვს მოსაპოებელი.

„საქართველო“ ბურჟუაზიულ ელემენტებს ემყარებაო, ხშირად იმეორებენ სახალხოელები. ამასთანავე გვარწმუნებენ, რომ ეროვნულ-პოლიტიკური აზროვნება „მაჯლაჯუნასავით დასწოლია თავზე ჩვენს გადაგვარებულ წრეს და ჰსურს განთავისუფლდეს“ო. ახირებულია, თქვენმა მზემ, ამ ბურჟუაზიას ჩვენში ჯერ კიდევ ფეხი არ აუდგამს, არაფერი არ გაუკეთებია და უკვე „გადაგვარებულ წრეში“ კი მოქცეულა. ბურჟუაზია თუ აპოლიტიკურია, „სახალხო“ს პოლიტიკოსებო, აბა ვინ შექმნა ყველა ის პოლიტიკური მცნებები, რომელთაც თქვენ ეს ოცი წელია ღეჭავთ. თქვენი პროგრამის ყველა მუხლები, საყოველთაო საარჩევნო ხმიდან დაწყებული „ფედერაციამდე“ სხვაგან ბურჟუაზიამ უკვე ცხოვ-[illegible]

„სახალხო ფურცელი“ იმასაც გვაკვირვებს [illegible] რებულან. ალბათ ჩვენი „სახალხოელები“ სოციალისტობაშიდაც მოიკოჭლებენ.

## დეპეშები

(„საქართველო“ს საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

**საფრანგეთის სამხედრო პირთა ცნობით ვერდენთან გერმანეთის ჯარი საფრანგეთისას რიცხვით დიდად აღემატება.**

—

**საფრანგეთის გენერალი ჟოფრი სათადარიგო ჯარს უფრთხილდება და მოითხოვს მის დაზოგვას, ხოლო ყოფილი პრემიერ მინისტრი და ამ ჟამად რედაქტორი „ლ'ომ ლიბრ“-ისა, კარგად ცნობილი და თავისუფლებისთვის მებრძოლი, კლემანსო დაბეჯითებით მოითხოვს სათადარიგო ჯარიც მიაშველონ ბრძოლის ველს რათა გადასწყდეს ან ჰო, ან არაო!**

—

**საფრანგეთის სამხედრო მინისტრი გალიენი ავად არის.**

—

**როგორც ამას წინად იტყობინებოდნენ, გერმანეთმა პორტუგალიას ნოტა წარუდგინა. რათა პორტუგალიის მთავრობას დატყვევებული გემები გაენთავისუფლებინა. პორტუგალიის მთავრობამ უარი შეუთვალა, რის გამოც—ამბობენ—გერმანეთმა პორტუგალიას ომი გამოუცხადაო. ამ ბოლო დროს გერმანეთის სააგენტო იტყობინება, პორტუგალიაში არეულობა ხდებაო.**

—

## სოფელი და სოფლელები

**სოფ. მგალობლიშვილის მოთხრობებში.**

(კრიტიკული მიმოხილვა)

(გაგრძელება. იხ. „საქართველო“ № 45)

ნინოზე უფრო ღრმას და ცოცხალს, გაბედულს და გაუტეხელს, მოსიყვარულე და ზნეობრივად შეურყეველ ტიპს წარმოადგენს „გმირისეულის ქალი“ სალომე. ეს-კი შეგნებულად მებრძოლი ახალგაზდა ქალია. მან ამოირჩია თვისი ღრმა და ნაზი სიყვარულის საგნად ბატონის მზარეული პარმენი ჯობინაშვილი,—ღარიბი, უსწავლელი, მაგრამ შეგნებული, პატიოსანი და ბრგე გლეხის შვილი და სიყვარულს შესწირა თავისი ბედნიერება. ვერც დედის,—ამ განხორციელებულ სიმკაცრის და ავგულობის,—მუქარა-დატკბობამ და წყევლა-კრულვამ; ვერც მსუქანი და მსუნაგი ოს მოურავის დაყვავებამ და ხრიკებმა, ვერც ბევრი აზნაურის და მღვდლის შვილების წინაალმდეგობამ ვერ შეაცვლევინეს მტკიცე სალომეს თავისი გადაწყვეტილება—პარმენთან სიკვდილამდე განუყრელად შეერთებულიყო. მაშინაც-კი, როდესაც გამხეცებულმა მისმა დედამ პარმენი ვერაგულად მოაკვლევინა, როდესაც მას უკვე ჩასახული ჰყავდა ნაყოფი გატაცებულის სიყვარულისა, მაშინაც არ შედრკა, არ დაიხია უკან სალომემ, პარმენას არ უღალატა. სალომე პარმენის სიკვდილის შემდეგ გამოეწყო ვაჟის ტანისამოსში, გადიკიდა იარაღი, მოიხურა ნაბადი და ბატონიშვილთან (რომელთანაც იზრდებოდა) გაემგზავრა ქალაქში, რომ მისთვის გადაეშალა თავისი გულის დარდები და მოეხსენებინა თვისი გადაწყვეტილება. ჩვენ აქ ნებას მივცემთ თავს ამოვწეროთ სცენა ბატონიშვილის და სალომეს შეხვედრისა. „ნაბდოსანმა ქალაქში იპოვნა თვისი ბატონიშვილის სადგური, კარი დაურეკა და შეუთვალა, რომ თქვენთან კაცია და საჭირო საქმისა გამო ნახვა სურსო“... ნაბდოსანი მიიღეს. მან დერეფანში ნაბადი მოიხსნა; შევიდა ბატონიშვილთან. ქუდ-ქვეშ მოხვეული თავშალი მოიხსნა და მსხვილი ნაწნავები-კი გადმოეშალა მხრებზე.

— სალომე, სალომე! გაგიჟდი თუ ეს რას მოასწავებს, რას? მარტოკა ჩამოხველ?.. ამიხსენ, თუ ღმერთი გრწამს.

— გაჭირვებამ ამისთანა გაქცევა იცის, მიუგო სალომემ, რომელმაც სარტყელი შეიხსნა და იარაღი ტახტზე დააწყო.

— რა გაჭირვებაა? ჰკითხა ბატონიშვილმა.

— პარმენი, თქვენი მზარეული, მოჰკლეს.

— მერე, შენ რა?

— მე მიყვარდა.

— როგორ, არ მესმის.

— როგორ უნდა მყვარებიყო,—ის იყო ჩემი საქმრო, მე იმას მივეცი მტკიცე პირობა; ჩვენ გათავებული გვქონდა საქმე; ჩვენ დანიშნულები ვიყავით.

— მერე? გაათავე... მე სული მიწუხს, გული მეკუმშება, ვინემ ნამდვილს გავიგებდე.

— მერე ისა, რომ ეს საყვარელი კაცი, რომლის სახე გულით დამქონდა, მომიკლეს ბატონო, იულონ, მომიკლეს. მიშველე რამე...

— ვინა ქალო?

— დედა-ჩემმა, თქვენმა გამზდელმა გმირისეულმა.

იულონი გაშტერდა...

— მე არა მჯერა, სალომე! და ძმობას გეფიცები, ჩემი გამდელი მაგას არ იზამდა.

— შენ, მაშ, დედა ჩემი ვერ გიცვნია. ყური დამიგდე: დედა ჩემს უნდოდა აზნაურზე ან სამღვდელო პირზე გავეთხოვებინე, ყველამ ტუჩი ამიბზუვილა; მე ვიპოვე ჩემი სწორი კაცი, ჩემმა გულმა ჭეშმარიტი სწორი ნახა... ეს ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ვინც დედა ჩემს იცნობს, არ გაუკვირდება ეს მისი საქციელი. დიახ, მოაკვლევინა, რომ მითი მოესპო ჩემი სიყვარული და სხვაზე გადაეტანა... მაგრამ სიყვარულის მოკვეთის მაგიერად ჩემი სიყვარული უფრო გაახლა, უფრო გააძლიერა.

— ახლა რა გწადიან? ხომ ველარას მოუმატებ.

— ვერას მოუმატებ, პარმენს ველარ გავაცოცხლებ, მაგრამ მეგობრობის, სიყვარულს კი დაუმტკიცებ და ამითი გამოვისყიდი დედი ჩემის ბოროტებასაც.

— როგორ, რითი დაუმტკიცებ? ჩაეკითხა ყმაწვილი კაცი სალომეს გაკვირვებით...

— მე, იულონ, გაუზრდი პარმენს შვილს და იმ შვილში მას გავაცოცხლებ.

იულონმა ამ პასუხზე უკან დაიწია; მას თავში გაუელვა აზრმა სალომეს ჭკუიდგან შეშლისა. შეენანა მისი ყმაწვილი ქალობა...

— დაო სალომე! ნუ, ნუ შვრები მაგას. შინ დავბრუნდით, მწუხარებას ნუ დაემორჩილები; მოიშორე გულიდგან, ამოიღე ფიქრიდგან პარმენი; თავს დავსდებ შენთვის, უფრო კარგს ბედს გწევ, თუ მომყვები და დამიჯერებ.

— ყოვლად შეუძლებელია; მე გულში მიზის პარმენ; მისი ამოგლეჯა არავის ძალ-უძს; მე მას უფრთხილდები, როგორც ჩემს თვალის სინათლეს; მე შვილი უნდა გაუზარდო, რომ მისი სანთელი არ გაჰქრეს ქვეყანაზე, რომ მის ერდოში ბოლი არ შესწყდეს.

— როგორ? შენ... სალომე! შენ... მე არ მესმის ქალო! გეტეობა მძიმეთაც ხარ.

— სწორედ მაგასა ვამბობ. მაგრამ მეს ეს არ მომსვლია მრუშობით, გარყვნილობით, მაშინ აღარ გამოვიჭრებოდი. მე ეს მომივიდა ჭეშმარიტის სიყვარულით და იმ იმედით, რომ მე ცოლი ვარ და ის ქმარი.

— ეგ შენ იცოდი და პარმენამ, სხვამ ხომ არავინა...

მაგ საქმესაც მოევლება. დამშვიდდი, ქვეყანაა, წუთისოფელია, ეგ განსაცდელი ყველას თავს არის... მოევლება.

— არა იულონ, ამ საქმეში სამი მოწამე მყავს: პარმენის სული, რომელიც თან აჩრდილივით დამსდევს, ჩემი წმინდა გიორგი ზედა-ჯვრისა და ჩემი ნამუსი. ამათ მე ველარ წაუვალ; ვერ გავიხარებ, ძმაო, ვერ, თუ იმათ ულალატებ.

იულონი გაშრა, გაიოცა სალომეს სიტყვა-პასუხმა.

— რა გსურს, მითხარი, მიმსახურე.

— უნდა მიწინამძღვრო: ქალაქში დამაბინავე ისე, რომ ჩვენებმა არ გაიგონ; მე ფული მაქვს, ღონე მომდევს, სამუშაოსაც ვიშოვნი თუ რამე ავი წამეკიდა, ეს ჩემი პარმენი იარაღი მექნება მფარველად“ („გმირისეული“, გვ. 18—22).

სალომემ, როგორც ვიცით მოთხრობიდან, მართლაც პირნათლად აასრულა თვისი გადაწყვეტილება. ბევრი ტანჯვა-წვალება, შიმშილ-წყურვილი შეხვდა მას, ბევრჯერ დაუგო მას ადამიანთა გარყვნილებამ და ანგარებამ სახიფათო მახე, მაგრამ ყოველივე გასაჭირს სძლია სალომემ და პარმენს ნამუსიანად შვილი მაინც აუზარდა.

როგორც დავინახეთ, დიდი პოტენციალური ძალა დამარხული ამ სოფლელ ახალგაზრდა ქალში. სალომეს პიროვნება ჩვენ წინ მკვდრეთით აღადგენს ქართველ დედათა ნეტარ სახეს: მოგვაგონებს მათს გაუტეხლობას, სულიერს გმირობას, ხასიათის სიმტკიცეს. მხატვრული ღირსება ამ ტიპისა იმაში მდგომარეობს, რომ მწერალი მასში გვიხატავს არა სათნოების განხორციელებას, არა უცოდველს და ზეციერს არსებას, არამედ ხორცშესხმულ ადამიანს, ჩვეულაბრივის ადამიანურის თვისებებით. სალომე ცოცხალი პიროვნებაა, ცხოვრების სიღრმიდან სწორედ ამოღებული. წინასწარი, ჯვარის დაწერამდი განხორციელება სიყვარულისა არამც თუ არ ჩრდილავს სალომეს სახეს, პირიქით, ეს მოვლენა უფრო აადამიანებს მას, უფრო სრულყოფს მის ადამიანურს სახეს. ამ ხაზის გასმით მწერალმა მიწას დაუახლოვა თავისი იდეალური გმირი და ამ გვარად ასცდა ცრუ იდეალიზაციას. შეიძლება ვინმენ შენიშნოს: სალომე არ შეიძლება ჩაითვალოს სოფლის ნამდვილ შვილად; ის ფიქრობს, მსჯელობს და მოქმედობს ისე, როგორც განათლებული და შეგნებული პიროვნება. თუ ეს ასეა, მაშასადამე სალომეს ტიპი მწერლისაგან ყოფილა შეთხზული და არა ნამდვილ ცხოვრებიდგან ამოღებული.

ვისაც მოთხრობა „გმირისეული ქალი“ წაუკითხავს, ის დამეთანხმება, რომ ასეთი შენიშვნა სრულებით უსაფუძვლოა. საქმე სწორედ იმაშია, რომ სალომე, თუმცა ოფიციალურად „იმერელ მებაღის“ და ბატონის მოსამსახურე ქალის შვილია, მაგრამ ნამდვილად კი ბატონის ღვიძლი შვილია და აღიზარდა ბატონის სახლში და ბატონის შვილებთან, როგორც ნამდვილი ოჯახის წევრი. როგორც მოთხრობიდგან სჩანს, ეს ბატონის ოჯახი სხვებთან შედარებით სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენდა თურმე: აქ ადამიანურად და შეგნებულად სცხოვრობდნენ, სწავლა-განვითარებას აფასებდნენ და ქართულ ლიტერატურასაც მისდევდნენ. ბატონი და ქალბატონი თავის ერთად-ერთ ქალში არ არჩევდნენ სალომეს. ამ ოჯახში იულონთან ერთად, როგორც თანასწორი, იზრდებოდა სალომეც. სალომეს ქართულ წიგნების კითხვა შეუყვარდა, სხვათა შორის „ვეფხის ტყაოსანიც“ საფუძვლიანად შეისწავლა. მაშასადამე სალომე უბრალო სოფლის ქალებზე მაღლა სდგას გონებრივად. ამისათვის მისი მსჯელობაც და გადაწყვეტილებაც სრულებით არ არის არა ბუნებრივი, უჩვეულო და მოულოდნელი. არა ბუნებრივი და შეთხზული იქნებოდა სალომეს მსჯელობა და მოქმედება მაშინ, ის რომ ღარიბ-ღატაკი გამოუსვლელი, გონება განუვითარებელი სოფლის გოგო ყოფილიყო. ალბათ ეს კარგად ესმოდა ჩვენს მწერალს და ამისათვის თვისი გმირი ქალი შესაფერს წრეში და მდგომარეობაში ჩააყენა და ამას ხაზიც გაუსვა.

იპ. ვართაგავა.

(დასასრული იქნება)

ენვერ-ფაშა მედინაში მივიდა; მან ინახულა ინდოეთის, ტუნისის, და მაროკოს მაჰმადიანი წარმომადგენლები და საიდუმლოდ ეთათბირა მიმდინარე ომის თაობაზე.

—

ალბანეთის სარდალთა ყრილობამ დაადგინა: ალბანეთის დამოუკიდებლობისათვის ებრძოლონ იტალიას.

—

„ინვალიდი“ იტყობინება: მაკედონიაში მდგომი გერმანეთის ჯარი რუსეთის ფრონტზე გადმოიყვანეს, რათა დამდეგ გაზაფხულს იერიში მოიტანონო.

—

მეფის ნაცვლის წარმომადგენელი ნიკოლსკი აცხადებს, რომ სათათბირომ მიიღო კავკასიის პოლიტეხნიკუმის კანონ-პროექტიო.

— —

თეირანიდან იტყობინებიან: აკაკი მეთოდის ძეს ხოშტარიას გადაეცა კონცესია (იჯარა) რეშტის რკინის გზისა. მაზანდერანის ნავთიანი მამულებისა და აგრეთვე საფეხდარის საკუთარ მამულებისა. ერთის სიტყვით ხოშტარიას ხელში გადავიდა ეკონომიური ბატონ-პატრონობა სპარსეთის სამი პროვინციისა.

# ახალი ამბავი

✦ **ინსტრუქცია არჩევნების შესახებ.** ქალაქის გამგეობამ დაბეჭდვინა ინსტრუქცია შესახებ იმისა, რა წესით უნდა მოხდეს ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები. 1 საარჩევნო უბანში ასარჩევია 11 ხმოსანი და 2 კანდიდატი, მე-2-ში 15 ხმოსანი და 3 კანდიდატი, მე-3-ში 14 ხმოსანი და 3 კანდიდატი, მე-4-ში 9 ხმოსანი და 2 კანდიდატი, მე-5-ში 7 ხმოსანი და 1 კანდ., მე-6-ში 17 ხმ. და 3 კანდ. და მე-7-ში 7 ხმოსანი და 2 კანდიდატი. სულ 80 ხმოსანი და 15 კანდიდატი. საარჩევნო კრებაზე თავმჯდომარეობს ქალაქის მოურავი ანუ ერთი ხმოსანთაგანი, რომელსაც გუბერნატორი ნიშნავს. მდივნის თანამდებობას ასრულებენ ქალაქის გამგეობის მოსამსახურენი, რომელთაც გამგეობა ნიშნავს. საარჩევნო კრება გაიხსნება დილის 10 საათზე და დაიხურება საღამოს 6 საათზე. კრებაზე დასასწრები ბილეთების მიღება ამომრჩევლებს შეუძლიათ ქალაქის გამგეობის 1-ლ განყოფილებაში, ხოლო არჩევნების დღეს—იმ ადგილას, სადაც არჩევნები უნდა მოხდეს.

✦ თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. **დ. ე. ჩოლოყაშვილი** როგორც ხმა დადის, დაუნიშნავთ მეფის ნაცვლის საგანგებო საქმეთა მოხელედ.

✦ **ბაქოს** ნიჭიერი სცენისმოყვარე ა. პავლიაშვილი, რომელიც ჰლექით არის ავად და საავადმყოფოში წევს თავს ცუდათ გრძნობს. სიცხემ 41 გრადუსამდე აიწია.

✦ **კვირას 6 მარტს,** დილის სრულ 12 საათზე „ახალ კლუბის“ დარბაზში სანდრო შანშიაშვილი წაიკითხავს ახალს ნაწარმოებს „ბერდო ზმანია-“ს.

✦ **ახლად არჩეული პრეზიდენტი.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თავ. მ. ა. სუმბათაშვილი გუშინ, 29 თებერვალს, უკვე შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

✦ **აბაშელის ავადმყოფობა.** ახალგაზდა მგოსანი აბაშელი იმდენად მოღონიერდა, რომ კვირას, 28 თებერვალს, შესძლო სოხუმში წასვლა საექიმოდ. სოხუმში მას უსასყიდლოდ დაუთმეს ბინა თავიანთ სანატორიაში შ. და გ. შანშიევებმა. მგოსანი სოხუმში დარჩება 2 თვეს და შემდეგ აპირებს აბასთუმანში წასვლას, საცა თავისს აგარაკში უსასყიდლოდ დაუთმო ოთახი ექიმმა გოკიელმა.

✦ **წვრილ კრედიტთა** საქმეების გამგეობის მიერ გამოგზავნილია თბილისის გუბერნიაში რევიზორი ამავე გამგეობისა ბ-ნი ვასილიევი, რომელსაც დავალებული აქვს, ადგილობრივ გამოარკვიოს წვრილი კრედიტის მდგომარეობა და ღონისძიებანი გამოძებნოს ამ დაწესებულების გასავრცელებლად და გასაღონიერებლად.

✦ **სახურსათო თანხიდან** კავკასიის მეფის ნაცვლის განკარგულებაში გადაიდო 580 ათასი მანეთი დაზარალებულ ოჯახების დასახმარებლად სოხუმის ოლქისათვის, 17 ათასი მანეთი სიღნაღის მაზრისათვის და 6200 მან. შემახის მაზრისათვის.

✦ **გარდაიცვალა.** 27 თებერვალს ციხის ლაზარეთში აზრუმის აღების დროს დაჭრილი პოდ. პორუჩიკი თავ. ი. ი. ხიმშიაშვილი. განსვენებულს დღეს დაკრძალავენ.

✦ **ახალი საზოგადოება.** თბილისში შესდგა ელინთა კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოება, რომლის წესდება უკვე დაამტკიცა გუბერნატორმა. ჩქარა მოხდება საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს გამგეობა. საზოგადოება უპირველეს ყოვლისა აპირებს სკოლის დაარსებას ბერძნების უბანში.

✦ **სახალხო ბიბლიოთეკა.** 28 თებერვალს წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობის მიერ მიწვეული იყვნენ ქართველი ექიმები, რომელთაც პროგრამა უნდა შეედგინათ საექიმო სახალხო წიგნებისა, რომელთა გამოცემა განზრახული აქვს საზოგადოებას. კრებას დაესწრა 25 ექიმი კრებამ კომისია აირჩია, რომელსაც დაევალა დაწვრილებითი პროგრამის შედგენა. კომისიაში შედიან ს. ელიაშვილი, ს. ვირსალაძე, ბატონი მუხაძე, ბეგთაბეგოვი, თიკანაძე, დ. ბალარჯიშვილი. შემდეგი კრება დანიშნულია 6 მარტს. ახლო მომავალში უნდა შესდგეს ბუნებისმეტყელთა კრება, რომელთაც აგრეთვე თავიანთ სპეციალ დარგიდან უნდა გამოიმუშაონ პროგრამა სახალხო წიგნაკების გამოსაცემად.

✦ **საგანგებო კრება.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების წლიური კრება რადგან ამ მოკლე ხანში ვერ შესდგება, საზოგადოების მთავარმა გამგეობამ გადასწყვიტა 6 მარტს მოიწვიოს საგანგებო კრება, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს საკითხები საჩქარო საქმეთა შესახებ.

✦ **ქალთა სემინარია.** „განათლების“ საზოგადოებას ამ ჟამად აქვს თანხა 3.936 მანეთი.

✦ **კოოპერატივი სოფლად.** ქვემო გომში (ქართლი) განუზრახავთ დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება, გლეხებს უკვე შეუკრებიათ ამ საქმისათვის რამდენიმე ფული. წესდებას ამ დღეებში წარუდგენენ გუბერნატორს დასამტკიცებლად.

✦ **საკოოპერაციო ლიტერატურა.** გამოვიდა და კოოპერატივებს შეუძლიანთ დაიკვეთონ (არა ნაკლებ 55 ცალისა) „მომხმარებელი კოოპერატივის საზოგადო კრებისა, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ინსტრუქციები“, გამოცემა „კოოპერაციის“ რედაქციისა. იმავე ჟურნალის რედაქცია უკვე შეუდგა ბეჭდვას ცნობილი კოოპერატორის ვ. ლენსკის წიგნისას: „ევროპის კოოპერატივებში“ და შ. ჟიდის „კოოპერაცია“-ს. კოოპერატივებმა ღია ბარათებით უნდა აცნობოს რედაქციას, თუ რამდენი ცალი უნდა გაეგზავნოს მათ ეს გამოცემანი.

✦ **შემოიტანეს** თბილისში 27 თებერვალს: ფქვილი 3 ვაგ., ქერი 1 ვაგ., შაქარი 3 ვაგ., ღვინო 1 ვაგ., შეშა 9 ვაგ., გაუწმენდავი ნავთი 14 ვაგონი.

**ს. კაბალი.** (სიღ. მაზ.)

კარგა ხანია რაც სოფლელებმა დაიქირავეს სკოლისათვის შენობა, მაგრამ არ იქნა ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოების გამგეობამ ვერ იშოვნა ხსენებულ სკოლისათვის მასწავლებელი. ეხლა კი გაუღიმათ ბედმა: თვითონ სკოლის ინიციატორებმა მოიწვიეს მასწავლებლად ქ-ნი თამარ ზაქარიაშვილი.

**ბაქო.**

ბაქოში ახლა სიწყნარეა, თითქმის ყველაფერი თავის კალაპოტში დგება.

— მარტისთვის მოწვეულია ელო ჩერქეზიშვილი, რომლის პატივსაცემლად მისი მონაწილეობით წარმოდგენა გაიმართება.

— აქაური დრამატიული სექცია თავის ათი წლის აღსანიშნავად 6 მარტს საღამოს ჰმართავს.

— ძმ. მაილოვების დიდს თეატრში, ამირაგოს ოპერეტაში დაიწყო გასტროლები, მოსკოვში ზიმინის ოპერაში სახელ-მოხვეჭილი ქართველი ქალის, თამარა გამსახურდიასი.

# გაკვრით

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თუ დღეს თბილისის საქალაქო არჩევნებში ქართველ ამომრჩეველთათვის ხმოსანთა პროპორციულ ადგილებს მოვითხოვთ, ამით ჩვენ გვინდა საზღვარი დაუდვათ იმ საოცარ მდგომარეობას, რომელშიაც დღეს იმყოფება ქართველობა, საქართველოს დედა-ქალაქის თვითმართველობაში. რასაკვირველია, როდესაც თბილისში ქართველობა მოღონიერდება, ის კიდევ მეტს მოითხოვს და თავის ქალაქში ისეთ ადგილის დაჭერას შეეცდება, როგორიც მის ნამდვილს ეროვნულ ინტერესებს შეეფერება.

ჩვენს მოთხოვნას, „სახალხო ფურცელი“ მხარს არ უჭერს. ახირებულია ის მოსაზრება, რომლითაც ის ხელმძღვანელობს. თბილისის არჩევნებში რომ პროპორციული მოთხოვნა წამოვაყენოთ, ასეთივე პრინციპი უნდა დავიცვათ „ყველგან, სადაც კი არჩევნები იქმნება და მაშინ მთელი ჩვენი ადგილობრივი ცხოვრება ნაციონალური დანაწილების სარბიელად უნდა გადაიქცესო“. რად უნდა მოხდეს ასე, ჩვენ ვერ გაგვიგია. თუ თბილისის არჩევნებში ჩვენი ინტერესები გვიკარნახებს და პროპორციულ არჩევნებს მოვითხოვთ, ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ყველა არჩევნებში ჩვენ ამ პრინციპს წამოვაყენებთ. არც პოლიტიკაში, არც საზოგადოებრივ ცხოვრების სხვა რომელიმე დარგში ჯერ არ მოუძებნიათ ისეთი პრინციპი, რომელიც ყოველგან და ყოველთვის გამოსადეგი იყოს. თბილისის არჩევნების პროპორციული საფუძველიც, თუ ჩვენ იმას დავიცავთ, ნუ თუ უცვლელ და ყოველგან სავალდებულო მოვლენათ გარდაიქცევა? თბილისის ქართველობას საქალაქო საქმეებში შესაფერისი ხმა უნდა ჰქონდეს და ეს დღესვე უნდა მოვითხოვოთ. თორემ „სახალხოელებს“ რომ ჰკითხოთ, ისეთს საშუალებებს მოგვიძებნიან, რომელნიც ჩვენი მიზნებისთვის საჭვოა გამოდგეს და მათი მოპოებაც ბევრად უფრო ძნელი იქნება. საქალაქო არჩევნები დემოკრატიულ ნიადაგზე უნდა აშენდეს. ამისთვის კი საჭიროა მთელი რუსეთის კანონმდებლობის შეცვლა.

რასაკვირველია თბილისის გამოსახსნელი უებარი წამალი აქაური ქართველობის ეკონომიური გაძლიერებაა. ეს ასეა და ჩვენც ამას უნდა ვესწრაფოდეთ. მაგრამ თბილისელი ქართველობის ნამდვილი ინტერესები და ეროვნული ჩვენი თავმოყვარეობა გვიკარნახებს, საბოლოო მიზნებს არ დაუცადოთ და დღევანდელს პირობებშიაც ჩვენს დედა-ქალაქში შესაფერი ადგილი მოვითხოვოთ.

**ისკანდერ.**

# ძმანი ლაპიაშვილნი და ბ. ასტანინი

წარსულ შაბათს ჩვენს გაზეთში მოთხრობილი იყო ფრიად დამახასიათებელი ამბავი.

დამახასიათებელი უცნაურ და ყოველ საზღვარ გადასულ უწესობისა, რაიც დამკვიდრებულა სხვა და სხვა მოხელეთა მხრით ჩვენს ყრუ პროვინციაში.

მთავრობას გადაუწყვეტია სიღნაღთუქურმიშის გზის შეკეთება. მიმართეს ძველ ნაცად გზას—ბეგარას, მაგრამ გაჭირვებულმა ქიზიყმა გამოაცხადა, რომ ბეგარაზე გამოსვლა დღევანდელ უკაცობის დროს არ შეიძლიანო და თანახმაა ფულად ჩამოვიდეს კომლზედ 2 მ. 50 კ. 2 მ. 50 კ. გაღებას აიძულე'დნენ ხალხს სოფლის მამასახლისები და სხვა მოხელეები.

იმბობდნენ ამ გზას შეკეთება აუცილებლად ჩვენი საქმეაო (!?), დღევანდელ ჟამს კი მუშა 3 მან. ღირსო და ურემი თუმანიო... შეადგინეს „პრიგოვორები“... ჩამოვიდა საგუბერნიო მმართველობიდან დანიშნული ტეხნიკი ბ. ასტანინი და ქიზიყელები'ს ფულით (ნეტა სად მიიმალა ამიერ-კავკასიის საერობო თანხა, რომლის სიუხვის გამო ამ ორი წლის წინად მოხელეთა საერობო თათბირმა საერობო ავტომობილების სყიდვაც კი დააპირა) შეუდგა იჯარით გაცემას საერობო- სახელმწიფო გზისა.

რასაკვირველია მიადგა სომხებს. ეს ამბავი შემთხვევით გაუგიათ შეძლებულ ქართველებს ძმებს ლაპიაშვილებს. შეეკითხნენ ადგილობრივ ბოქაულს: განა ქიზიყში ქართველები კი არ მოიპოვებიან, რომ სომხებს აძლევთო. ბოქაულმა უპასუხა—ქართველები თქვენა ხართო და აბა თქვენ იკისრეთო.

„მე არ ვსთანხმდებოდი — მოგვითხრობს თავისებურად ერთი ძმათაგანი ლაპიაშვილი—რადგაიაც ძალიან ცოტა მესმოდა გზის საქმე, მაგრამ მერე დამარწმუნეს, რომ ტეხნიკი შინაური კაცი არისო და ყველაფერში იოლად გაგიყვანსო. მეც ვიფიქრე თუ კი პატრონი გამოცდილი კაცია და კისრულობს ამ საქმეს, მაშასადამე ხეირიანი საქმე უნდა იყოს მეთქი. ასე ვიფიქრე და დავთანხმდი“. ჩასულა ტეხნიკი. ამასაც დაურწმუნებია ძმები ლაპიაშვილები, რომ სუყველაფერი მის ხელშია და გუბერნატორიდან მას აქვს ეს საქმე დავალებული. „დამიწერეს პირობები,—იწერება ლაპიაშვილი, — მოაწერინეს მამასახლისებს ხელი, მომთხოვეს სამასი თუმანი მეც მეგონა, ეს კანონიერი არის მეთქი და გადავეცი 3000 მან. ტეხნიკს ასტანინს, რომელსაც ხელწერილი ჩამოვართვი და ის ხელწერილი და სხვა ქაღალდები საბუთისა დარჩა ქ. მაჩხაანის ბოქაულთან და მომცემს თუ არა ღმერთმა უწყის“...

ძმ. ლაპიაშვილებმა ამ გზაზედ ტუსაღები ამუშავეს. მათის თქმით დახარჯავთ 21,300 მანეთი და მიუღიათ მარტო 14,000 მანეთი. „ასე რომ— მოსთქვამს ბ. ლაპიშვილი—ჩემი საკუთარი 7,000 მანეთი მაქვს დახარჯული. ახლა ამ შვიდი ათას მანეთს დაუმატეთ ის სამი ათასი მანეთი, რომელიც ტეხნიკმა გამომართვა ბეს სახით, რომ საგუბერნიო მართველობას უნდა გადავცეო, ნამდვილად-კი თავის ჯიბესათვის გადაუცია. აღარ ვიცი, ვის მივმართო და ვისგან მივიღო ეს ორას თუმანზე მეტი ჩემი საკუთარი დახარჯული ფულიო“?..

ჩვენ კიდეც მოგვიხდა ასეთივე ანარხიის და მოხელეთა თარეშის აღნიშვნა დუშეთის მაზრის სოფლებში და თუ იქ ეს აუტანელი თავგასულობა ჯერ-ჯერობით მინელდა სხვა კუთხეში ამოჰყო თავი.

სიღნაღ-თუქურმიშის გზის შეკეთების ამბავიც არ ახალია ძველია.

იტანჯება სოფელი, იხშობა და კოტრდება კერძო პირთა ინიციატივა, საქმეც არ კეთდება ბ. ასტანინები კი სიამოვნებით იფშვნეტენ ხელებს...

ამ ამბავში ორი საყურადღებო ფაქტია:

ჯერ ისა რომ, დღესაც კი, დაუძლურებულ ყოველგვარ გადასახადით, სოფლის ხალხს სრულიად უსამართლოდ ახდევინებენ ბეგარის ფულს იმ საქმისათვის, რომელიც ვალად ედება თვით ამიერ-კავკასიის სამართველო საერობო თანხებს და მეორე—რომ მოხელეთა მექრთამეობა, მეტადრე პროვინციაში, სისტემად იქცა და საზღვარს გადასცილდა.

საინტერესოა მაინც რას უპასუხებს გუბერნიის სამმართველო თავის მოხელე ასტანინის საქციელის გამო ძმ. ლაპიაშვილებს?

**კაი გრაკხი**

# სახელმწიფო საბჭო

**26 თებერვლის სხდომა.**

**კულომზინი თავმჯდომარეობს.**

შემოსავლის დაგვარად ხარჯის გაწერის კანონ-პროექტს იხილავენ.

დაადგინეს გარდასახადი დაედოს 1000 მანეთზე მეტიანს შემოსავალზე. კოკოვცევისა და გურკოს შესწორებით გადასახადი უნდა დაედოს 700 მანეთიან შემოსავალზედაც. კენჭის ყრით 97 ხმით 24 წინააღმდეგ ეს შესწორება მიიღეს.

# პრაქტიკული სკოლა თბილისის ბოტანიკურ ბაღში

აღნიშნული სკოლა დაარსებულია 1902 წელს ამავე ბაღის დირექტორის ბ-ნ როლოვის მეცადინეობით. სკოლაში სწავლობენ ორკლასიან სამინისტრო სკოლებსა და საქალაქო სასწავლებლებში კურს დამთავრებულები. დაარსებიდან 1902—1915 წლამდე სკოლაში სწავლობდა 84 მოსწავლე; კურსი დაამთავრა 58 კაცმა, რომელთაგან 15 კაცი საკუთარ სოფლის მეურნეობას ეწევა, 34 კაცი სხვასთან მსახურებს, 5 კაცი გარეშე საქმეს აკეთებს და 4-ს შესახებ არაა ცნობები.

1915 წელს სკოლაში იყო 22 კაცი, რომელთა შორის 8-ს ეძლეოდა სტიპენდია საერობო თანხიდან. წარსულ წლის 15 დეკემბერს გამოსცადეს კურს დამთავრებულები; 10-მა დაასრულა კურსი, რომელთა შორის 7 ქართველია, 2 სომეხი და 1 მაჰმადიანი. მოსწავლეები პრაქტიკულ მუშაობას ეწევიან ბატანიკურ ბაღსა და ყარაიაზის სახელმწიფო მამულში. სკოლის შესანახად მიწადმოქმედების დეპარტამენტმა 1915 წელს გადასდვა 3,600 მანეთი, საერობო თანხიდან მიეცა 1,061 მანეთი. თითო შეგირდის შენახვა ორათუშა რიცხვით დამჯდარა 201 მანეთი.

# 1914 წ. ივლისის 14 დღის

**სჯულდება და ქართველი სამღვდელოება**

უეჭველია, სამღვდელოება მონატრულია ჩვენს ეკლესიას ჰყავდეს ქართულად აღზრდილი ღვთის მსახური, რომელიც განსწავლული იქნება ქართულად ღვთის მსახურებაში და ღვთის მეტყველებაში, ქართულად შეთვისებული ექნება ყოველივე ის, რასაც რუსის სამღვდელოება აწვდის რუსეთის ეკლესიის მსახურსა. უეჭველია სწამს ისიც, რომ იმ სასულიერო სწავლა განათლებამ, რომელიც მისი შვილებისთვის უცხოა, გადააგვარა ქართველი ღვთის მსახური და სულით დააშორა სამწყსოსა, რის გამოც დღეს საერთოდ ჩვენს ეკლესიაში აღარ ისმის არც კითხვა, არც ქადაგება, არც გალობა ქართულად განვითარებული, რის გამოც კიდეც დაეცა სარწმუნოება.

თუ სამღვდელოება თავისი ღონისძიებით ეხმარება სასულიერო მთავრობას სასულიერო სკოლების შენახვაში, მაშინ სამღვდელოებამ უნდა იფიქროს კერძო სასულიერო სკოლის და სემინარიის დაარსებისათვის და სწავლება საჭირო საგნებისა მოაწყოს თანახმად 1914 წ. ივლისის 14 დღის სჯულ დებისა. თუ შეუძლებელი გაჰხდა მისი სახელით ასეთი სასწავლებლის დაარსება, მაშინ კერძო თაოსნობა უნდა შეჰქმნას, იმას მიანდოს სკოლის დაარსება და ღონისძიებაც აღმოუჩინოს. ივერიის ეკლესიის კანონიური უფლების (каноническихъ правъ) აღდგენას თუ ხელს არ შეუწყობს, არას დაუშლის.

კერძო ინიციატივის შექმნა შეიძლება აგრეთვე დაარსებით ქართველთ სასულიერო განათლების საზოგადოებისა, რომლის წევრადაც ჩაეწერება ყოველი ერი და ბერი, ვისაც კი აინტერესებს ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი აღორძინება.

ეს საკითხი ჰღირს იმად, რომ ჩვენმა სამღვდელოებამ ყური ათხოვოს და დაუყოვნებლივ საქმეს შეუდგეს.

ქართველ მღვდლებს ჰმართებს ხელის განძრევა, სამარეშიაც ეყოფა გულხელ დაკრეფით განსვენება.

სარწმუნოება თვინიერ საქმეთა მკვდარ არს!

**სვეტიცხოვლელი.**

# ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლ. საზოგადოების

**წ ლ ი უ რ ი კ რ ე ბ ა.**

28 თებერვალი.

კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ გ. რცხილაძემ დღის 12 საათზე. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა აკაკისა, ვაჟა-ფშაველას და ნიკო ლომაურის ხსოვნას. აგრეთვე მიიღო საზოგადოების წევრებად 22 კაცი. შემდეგ კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა იგივე ბ-ნი გ. რცხილაძე, ხოლო მდივნად რ. ბებიაშვილი.

კრებამ განიხილა ანგარიში საზოგადოებისა 1911—1915 წ., რომელიც უკვე დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში და დაამტკიცა იგი. განხილულ და დამტკიცებულ იქმნა 1916 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც აგრეთვე დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში. ანგარიშის განხილვის დროს კრებაზე ზოგიერთმა წევრმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საზოგადოების მიერ გამოცემული ზოგიერთი წიგნი ძვირად ფასობსო. საბჭომ განმარტა პატივსადები მიზეზები ამ მოვლენისა.

საბჭოს მოხსენების თანახმად კრებამ სასურველად სცნა დაარსდეს სალიტერატურო ფონდი, ხოლო რა სახით უნდა შედგეს იგი, ამისი წესები თვით საბჭომ უნდა შეიმუშაოს. კრებამ ამასთანავე დაავალა საბჭოს აირჩიოს თავისი შეხედულობით 1 დღე, როცა ზეიმი უნდა გამართოს აღნიშნულ ფონდის გასაძლიერებლად. ამ საქმის მოსაწესრიგებლად საბჭოს უფლება მიეცა შეადგინოს საგანგებო კომისია, რომელიც დაეხმარება მას.

წინადადება საბჭოსი, წიგნის მაღაზიის გახსნის შესახებ შესაფერის დრომდისინ იქმნა გადადებული.

კრებამ აგრეთვე შემდეგი დადგენილებანი მიიღო: 1) მოიწვიოს საბჭომ ჯამაგირით მუდმივი საქმის-მწარმოებელი და იზრუნოს საზოგადოებისათვის მუდმივ ბინის შოვნის შესახებ, 2) არ აძლევინოს წერა-კითხვის საზოგადოებას გრიშაშვილის წიგნების ფასი, რომელნიც ცეცხლმა გაანადგურა, 3) საზოგადოების თანხები სარგებლიან ქაღალდებად იქცეს, რომელნიც ბანკში უნდა ინახებოდნენ, 4) გარდა დიდი წიგნებისა პატარა წიგნებიც მხატვრულად გამოიცეს, 5) უხვი შემოწირულებისათვის თავად-აზნაურობას გამოეცხადოს მადლობა დეპუტაციის წარგზავნით, რომელსაც საბჭო აირჩევს.

საბჭოს წინადადების თანახმად კრებამ შემდეგი ცვლილება შეიტანა საზოგადოების წესდებაში: 1) საზოგადოებას მიეცეს უფლება წიგნის მაღაზიის დაარსებისა, 2) საბჭო შესდგებოდეს 7 კაცისაგან (აქამდის 5 კაცი იყო), 3) დაწესდეს საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგის თანამდებობა და 4) საზოგადო კრებაზე არა წევრთაც ჰქონდეთ [illegible] უფლება.

ბოლოს მოხდა არჩევნები: საბჭოს წევრებად არჩეულ იქმნენ გ. რცხილაძე, კ. მაყაშვილი, ს. გორგაძე, შიო დედაბრიშვილი და ვართაგავა; მათ კანდიდატებად—გ. ქიქოძე, დ. კასრაძე და სანდრო შანშიაშვილი; სარევიზიო კომისიის წევრებად—დ. ნახუცრიშვილი, ი. ზურაბიშვილი და ალ. მირიანაშვილი; ქართულ კულტურულ განმანათლებელ კავშირში საზოგადოების წარმომადგენლებად გ. რცხილაძე, კ. მაყაშვილი და ი. ზურაბიშვილი.

# ქალთა სამასწავლებლო სემინარია და ქართველ ქალთა მისაბაძი შრომა

კვირას, 28 თებერვალს, „განათლების“ საზოგადოების ქალთა სემინარიის დამხმარე კომიტეტს თათბირი ჰქონდა, რომელსაც დაესწრნენ ქართულ დაწესებულებათა და პერიოდულ გამოცემათა წარმომადგენელნი და რამდენიმე კერძო პირი. კომიტეტმა კრებას შემდეგი შინაარსის მოხსენებით მიმართა:

კომიტეტმა ამ მცირე ხნის განმავლობაში შეჰკრიბა 3,936 მანეთამდე, რომელშიაც შედის თავად-აზნაურობის მიერ შემოწირული 3,000 მანეთი სემინარიის დასაარსებლად დიდი თანხაა საჭირო. კომიტეტმა საკვიტანციო წიგნაკებით დაიწყო ფულის მოგროვება და აპირობს დახმარებისათვის მიმართოს ეროვნულ საქმის მოყვარულ შეძლე კერძო პირებს. მაგრამ ამასთანავე საჭიროა სხვა წყაროს გამონახვაც თანხის გასაძლიერებლად. კომიტეტს განზრახული აქვს, მომავალ ქალთა სემინარიას ეწოდოს თამარ მეფის სახელი. კომიტეტმა გადასწყვიტა 1 მაისს, როგორც თბილისში, ისე საქართველოს დანარჩენ ადგილებში, მოაწყოს თამარის სახელობაზე დღესასწაული და გამართოს წარმოდგენები, ლექციები, მუსიკალური დილა და სხვა გასართობი. კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ეს დღესასწაული ქალთა სემინარიის თანხასაც გააძლიერებს და ამასთანავე საფუძვლადაც დაედება დიად ეროვნულ გრძნობას, რადგან წმ. თამარის სახელი აღიბეჭდება ყველა ქართველის გულში. მაგრამ ამ საქმის მოსაწესრიგებლად საჭიროა კომიტეტს დაეხმაროთ, რომ შრომამ მეტი ნაყოფი გამოიღოსო.

კრებამ მოხსენება მოიწონა და ფრიად სასარგებლოდ სცნა ასეთი დღესასწაულის გამართვა 1 მაისს. თბილისში დღესასწაულს მოაწყობს თითონ კომიტეტი თეატრში, კლუბებში და სხვა ადგილას, ხოლო რაც შეეხება პროვინციებს, იქ კომიტეტი მიმართავს ქართულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათ, რომ მათ იკისრონ მოწვევა ადგილობრივ ძალებისა და მათის დახმარებით მოაწყონ დღესასწაული. ამ ჟამად საქართველოს არა თუ ქალაქები არამედ მოზდილი დაბასოფლებიც-კი არ მოიპოვებიან, საცა არ არსებობს ესა თუ ის კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება; როგორც, მაგალითად, წერა-კითხვისა და საქველ-მოქმედო საზოგადოების განყოფილებანი, სცენის მოყვარეთა ჯგუფი და სხ. მიიღო რა მხედველობაში ასეთი მდგომარეობა, კრებამ იმედი გამოსთქვა, რომ ზოგიერთ პროვინციაში დღესასწაული შეიძლება უფრო ნაყოფიერი გამოდგეს, ვიდრე თბილისშიო. კრებას განსაკუთრებით დიდი იმედი აქვს ქალების მხრივ, რომელნიც უკანასკნელ ხანებში საოცარ ენერგიას იჩენენ ყოველგვარ საზოგადო საქმეში. ამა თუ იმ პროვინციის რომელიმე წრე თავისი ძალღონით თუ ვერ შესძლებს დღესასწაულის მოწყობას, თავის დროზე კომიტეტს უნდა აცნობოს და ეს უკანასკნელი ყველაფრით დაეხმარება, რაც კი რამ საჭირო იქნება.

დასასრულ კრებამ კომიტეტის დასახმარებლად აირჩია: ქ-ნი დ. განდეგილი, ბ-ნი ს. ფორაქაშვილი, ზ. ფალიაშვილი, ვალ. გუნია, ა. წუწუნავა, მ. ტერიაშვილი, გ. ჟორდანია, თ. კიკვაძე, ი. გომართელი, მ. ლაღიძე, პ. გოთუა და დ. დუმბაძე, აგრეთვე წარმომადგენელნი თავად-აზნაურობის, წერა-კითხვის, საქველმოქმედოსი და დრამატიულ საზოგადოებათა და სხ. ამორჩეულ პირთაგან ბევრნი არ ყოფილან კრებაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა კრებამ იმედი გამოსთქვა, რომ ისინი თავიანთ შრომას არ დაიშურებენ ასეთ ფრიად სასარგებლო საქმისათვის.

## კავკასიის სასოფ.-სამ. საზოგად. წლიური კრება

27 თებერვალი.

კრება გაიხსნა საღამოს 8 საათ. 40 წ. საზოგადოების მდივანმა ი. შ. ფირუმოვმა განაცხადა პრეზიდენტის თავ. პ. ა. გრუზინსკის წერილის შინაარსი, რომ კრებას ვერ ვესწრები და თავმჯდომარეობა იკისროს საბჭოს უხუცესმა წევრმა ვ. ი. რცხილაძემო. ბ-ნი ავდეევი თხოულობს, რომ კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნას ბ-ნი ტიმოფეევი, მაგრამ ავდეევს მხარი არავინ დაუჭირა და თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა ბ-ნმა რცხილაძემ.

მდივანმა ფირუმოვმა წაიკითხა საზოგადოების გასული 1915 წლის ანგარიში, რომლიდანაც სჩანს, რომ წინა წლიდან დარჩენილიანათ საზოგადოების მთელი შემოსავალი უდრიდა 152,459 მან. 08 კაპ., დახარჯული 137,835 მან. 72 კაპ. და 1916 წ. 1 იანვრისათვის დარჩენილა 14.623 მ. 36 კაპ.

კრებამ მოითხოვა სარევიზიო კომისიის ანგარიში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კომისიას ჯერ სავსებით ვერ მოუსწრია თავისი მუშაობის დამთავრება.

თავმჯდომარემ სთხოვა კრებას ბარათებით დაესახელებინა კანდიდატები საზოგადოების პრეზიდენტისა, ვიცე-პრეზიდენტისა და საბჭოს ორი წევრის თანამდებობაზე. კამათი გამოიწვია ბ-ნ ზერცალოვის კანდიდატურამ: წესდების ძალით საბჭოს წევრს ირჩევს კრება სამი წლით და იმის ადგილას შემდეგ სხვა უნდა იქნას არჩეული; ვადა გასულ საბჭოს წევრი ერთი წლის განმავლობაში არ შეიძლება იმავე თანამდებობაზე იქმნას არჩეული. ბ-ნი ზერცალოვი საბჭოს წევრად ყოფილა არჩეული და ვადის გასვლამდე ჯერ კიდევ $1^1/_2$ წელიწადი დარჩენილა, მაგრამ თავისი სურვილით თანამდებობიდან გადამდგარა. ეხლა კრების ერთმა ჯგუფმა ხელახლა მოინდომა მისი არჩევა საბჭოს წევრად, სხვები-კი ამ კანდიდატურის წინააღმდეგნი იყვნენ, რადგან მის არჩევას უკანონოდ სთვლიდნენ. თავმჯდომარემ არ მოისურვა ესარგებლნა თავისი უფლებით და ამ საკითხის გადაწყვეტა კრებას მიანდო. კრების უმრავლესობამ, იხელმძღვანელა-რა იმ მოსაზრებით, რომ ზერცალოვს წესდებაში აღნიშნული 3 წლის ვადა არ შეუსრულებია, შესაძლებლად სცნო ისიც დაესახელებიათ საბჭოს წევრობაზე კანდიდატად, მაგრამ მხოლოდ $1^1/_2$ წლის ვადით, ე. ი. იმდენი ხნით, რამდენიც მას დარჩა ყავლის შესრულებამდე.

ბარათებით დასახელებულ იქმნენ: 1) პრეზიდენტის თანამდებობაზე—უგანათლებულესი თავ. **პ. ა. გრუზინსკი** 29 ხმით და თავ. **მ. ა. სუმბათაშვილი** 38 ხმით; 2) ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე—თავ. **მ. ა. სუმბათაშვილი** 38 ხმით და **ა. ს. ფირალოვი** 3) საბჭოს 2 წევრის თანამდებობაზე—ბ-ნი **დორმანი** 74 ხმით, **ს. ნ. ყაზახაშვილი** 40 ხმით და ბ-ნი **ზერცალოვი** 28 ხმით.

თავმჯდომარის წინადადებით მდივანი აცხადებს, რომ უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკის არა სურს კენჭი იყაროსო.

კენჭის ყრაზე თანხმობა განაცხადეს: პრეზიდენტის თანამდებობაზე თავ. მ. ა. სუმბათაშვილმა, ვიცეპრეზიდენტის თანამდებობაზე ა. ს. ფირალოვმა და საბჭოს წევრობაზე ბ-ნმა დორმანმა, ყაზახაშვილმა და ზერცალოვმა.

**პ. ა. გოთუა** (თავმჯდომარეს) თავ. სუმბათაშვილი თანახმა არის პრეზიდენტობაზე კენჭი იყაროს?

თავმჯდომარე **ვ. ი. რცხილაძე** თანხმობა განაცხადა.

**პ. ა. გოთუა.** სამწუხაროა.

**ბ-ნი ავდეევი** (თავმჯდომარეს). ბ-ნი გოთუა საზოგადოების წევრია?

**თავმჯდომარე.** წევრი არის.

**ავდეევი.** ვსწუხვარ!

კენჭი უყარეს დასახელებულ კანდიდატებს; **თავ. მ. ა. სუმბათაშვილს** ამოუვიდა 43 თეთრი და 39 შავი კენჭი.

**ა. ი. ნატროშვილი.** ეხლაც თანახმაა თავ. სუმბათაშვილი დარჩეს პრეზიდენტად?

ძალას ნუ ატანთ კანონიერად არჩეულ კაცს,—გაისმა ხმაურობა წევრთა ერთი ჯგუფის შორის.

**ა. ს. ფირალოვს** ამოუვიდა 44 თეთრი და 39 შავი; **ბ-ნ დორმანს** 85 თეთრი და 6 შავი, **ს. ნ. ყაზახაშვილს** 47 თეთრი და 34 შავი და **ბ-ნ ზერცალოვს** 38 თეთრი და 45 შავი.

**თავ. მ. ა. სუმბათაშვილი** (აღელვებულის ხმით) ბატონებო! ვალდებულობა პრეზიდენტისა ერთობ დიდია, მე კი ნდობა გამომიცხადა კრებამ მცირედის უმრავლესობით. ამიტომ მე არ შემიძლიან ეს სავალდებულო თანამდებობა ვიკისრო ასეთ პირობებში და პრეზიდენტობაზე უარს ვაცხადებ.

**თავმჯდომარე** (სუმბათაშვილს). თქვენ კრებამ აგირჩიათ და ეხლავე ამ ფორმით უარის თქმა არ შეგიძლიათ. თანამდებობის ასრულების იმედი თუ არ გაქვთ და გინდათ გადადგეთ, ამის შესახებ წერილობითი განცხადება უნდა შემოიტანოთ საბჭოში. ბ-ნი **ზახტრეგერი** (სუმბათაშვილს). თქვენ კრების უმრავლესობამ აგირჩიათ და არავითარი საბუთი არა გაქვთ თანამდებობაზე უარი სთქვათ. საზოგადოების ის წევრები, რომელთაც თქვენ შავი კენჭები მოგცეს, არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ საზოგადოების საქმეებში, ისინი მხოლოდ წლიურ კრებებზე მოდიან არჩევნების დროს, დანარჩენ შემთხვევაში საზოგადოების ბედ-იღბალი მათ სრულებით არ აინტერესებთ, ამისათვის იმათ შავ კენჭებს თქვენ სრულებით არ უნდა შეუშინდეთ, რადგან იმათთან არავითარი საქმე არ გექნებათ, როგორც შემთხვევით გამვლელებთან. თქვენ ანგარიში იმათ უნდა გაუწიოთ, რომელთაც თეთრი კენჭი მოგცეს და ნდობა გამოგიცხადეს, რადგან ეს პირები მუშაობენ საზოგადოებაში და საქმე მხოლოდ მათთან გექნებათ. ამასთანავე საზოგადოება ეხლა უკიდურეს მდგომარეობაშია და თქვენ რომ უარი განაცხადოთ თანამდებობაზედ, საზოგადოების საქმეები კიდევ უფრო აირევა. კენჭების რაოდენობით თუ უნდა იხელმძღვანელებთ, იმ შემთხვევაში ბ-ნმა ფირალოვმა და ყაზახაშვილმაც უარი უნდა განაცხადონ თანამდებობაზე, რადგან ისინიც მცირედის უმრავლესობით გავიდნენ.

**ს. ნ. ყაზახაშვილი.** ვეთანხმები ჩემ წინად მოლაპარაკეს იმ მხრივ, რომ საბჭოს წევრობა არ უნდა ვიკისრო და უარსაც ვამბობ (ხმები: ეს ერთნაირი ხერხია, ამით ყაზახაშვილს უნდა თავ. სუმბათაშვილსაც უარი ათქმევინოს თანამდებობაზე). რაც შეეხება საზოგადოების წევრთა 2 ჯგუფად გაყოფვას, რომელთაგან ერთი ვითომც საქმიანობდეს და მეორე კი არა, ასეთ ატესტაციას ხშირად იძლევა ზახტრეგერი. მაგრამ სწორედ იმ ჯგუფმა, რომელიც თავისს თავს მოსაქმედ სთვლის, უკიდურესობამდე მიიყვანა საზოგადოების საქმე. იმ ჯგუფიდან არჩეულ კომისიას ჰქონდა დავალებული ერთი საქმის გაკეთება; მას მერმე წელიწადი გავიდა, მაგრამ კომისია ერთხელ მეტად არც კი შეკრებილა.

**თავმჯდომარე.** არჩევნები კანონიერი იყო და ეხლა არავისაგან არ ვღებულობ განცხადებას, თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. კრება დახურულია.

**ხმები:** პრეზიდენტი აქ არის; ვთხოვთ თავ. სუმბათაშვილს განაგრძოს კრება.

**თავ. სუმბათაშვილი.** ვხსნი კერძო თათბირს.

**პ. ა. გოთუა.** თავ. სუმბათაშვილს მუდამ პატივისცემით ვეპყრობოდი და ეხლაც დიდ პატივსა ვსცემ. მაგრამ მისი დღევანდელი საქციელი შესაწყნარებლად არ მიმაჩნია: კერძო თათბირზე, რომელიც ამ დღეებში შესდგა, გადაჭრით უარი განაცხადა მან არა თუ პრეზიდენტობაზე, არამედ ვიცეპრეზიდენტობაზედაც; ბოლოს, როგორც იქნა, ამ უკანასკნელ თანამდებობაზე დავიყოლიეთ და თავისი სიტყვა და თათბირის დადგენილება მტკიცედ უნდა შეესრულებინა, როგორც შეჰფერის ყველა მოქალაქეს. იმან კი გასტეხა თავისი სიტყვა და კრების დადგენილება დაარღვია. კრებას კი, წინანდელ დროის თანახმად, აზრად ჰქონდა, რომ საზოგადოებას ეთხოვა ჩვენი ქვეყნის უმაღლეს მართველისათვის საზოგადოების პრეზიდენტობა მიეღო თავის თავზე, მანამდისინ-კი პრეზიდენტის ადგილი ცალიერი უნდა ყოფილიყო.

**ბ-ნი ზახტრეგერი.** ეს ტყუილი ლაპარაკია; საზოგადოება ისეთ უფსკრულამდეა მიყვანილი, ისე აქვს სახელი გატეხილი, რომ ქვეყნის უმაღლესი მართველი არას შემთხვევაში არ მიიღებს შუამდგომლობას იმის პრეზიდენტობის შესახებ.

**სერვერ ბეგი ათაბეგი კობლიანსკი.** თქვენს კრებაზე თავ. სუმბათაშვილმა პრეზიდენტობაზე უარი განაცხადა, მაგრამ შემდეგ მეორე კრებაზე დასთანხმდა.

**ი. გ. ალიბეგოვი.** (თავ. სუმბათაშვილს). გთხოვთ განაცხადოთ, ჩვენი კრების შემდეგ მართლა იყავით სხვა კრებაზედაც და იმ კრების დადგენილებაც მიიღეთ? თუ ეს მართალია, ჩვენ რატომ არა გაგვაგებინეთ-რა?

თავ. სუმბათაშვილი შეკითხვაზე გადაჭრილ პასუხს ვერ იძლევა. ამასთანავე ხმები ისმის: თავი დაანებეთ, ძალას ნუ ატანთ

შემდეგ კიდევ ბევრი ილაპარაკეს ერთი ჯგუფის ორატორებმა, მათ შორის ა. ს. ბაბოვმაც, და ყველანი არწმუნებდნენ თავ. სუმბათაშვილს, რომ სხვებს ყურადღებას ნუ აქცევ და პრეზიდენტობაზე უარი არ სთქვაო.

თავ. სუმბათაშვილმა ნამეტანი აღელვებისაგან მისუსტებული და აცახცახებული ხმით მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს და განაცხადა, რომ სულისკვეთება მიკარნახებს თქვენი თხოვნა შევიწყნარო და თანამდებობა ვიკისროვო.

კრება დაიშალა.

## სათათბიროს გარშემო

**(სახელმწიფო სათათბიროს სხდომა).**

ბაქოს არეულობის შეკითხვაზე კავკასიის მეფის მოადგილემ დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ შემდეგი დეპეშა გამოგზავნა: 14 თებერვალს ბაქოდან ტელეფონით გვაცნობეს, რომ მწვანე ბაზარში კარტოფილის ფასის მომატების გამო მყიდველმა—ქალებმა მწვანეულობით მოვაჭრეები დაარბიეს. უწესოება მოედო ქალაქის სხვა ნაწილსაც, როცა ქალებს შეუერთდნენ ბავშვები და სხვა ელემენტები. მაღაზიების დარბევით იტაცებდნენ საქონელს, როგორც სურსათს, ისე საბაკალეოს, ფართლეულობას, საკანცელარიოს, ოქრო-ვერცხლს და სხ. მივიღე რა ასეთი ცნობა, საჭიროდ დავინახე განსაკუთრებული ყურადღება მიმექცია ნავთის რაიონის დასაცავად და კანონის თანახმად დროებით გენ. გუბერნატორობა მივანიჭე ბაქოს გუბერნატორს. 15 თებერვლის განმავლობაში არეულობა არ დაწყნარებულა. პოლიცია და ჯარი ბრბოს ფანტავდა, რამდენიმე ათი მონაწილე არეულობისა დაჭირა. 15 თებერვალს გამოაცხადეს განკარგულება, იარაღით იქნება ბრბო გაფანტული თუ ქუჩებში გამოჩნდება. ასეთი განცხადების მიუხედავად 16 თებერვალს დილით ისევ შეგროვდა ბრბო და დაიწყო უწესოება. რაკი გამაფრთხილებელმა ზომებმა არ გასჭრა, მიმართეს იარაღს, როცა მოკლულ იქმნა 4 კაცი, რამდენიმე მსუბუქად დაიჭრა და 2 ჭრილობისაგან გარდაიცვალა. დღის 2 საათისთვის არეულობა შესწყდა და შემდეგ ცხოვრების მყუდროება არ დარღვეულა. ბალახანში არეულობას ადგილი არ ჰქონდა მხოლოდ სანბუჩასთან შეეცადნენ ქალები საწვრილმანო დუქნების დარბევას მაგრამ პოლიციამ გაფანტა. ბრბო ხშირად ესროდა პოლიციასა და ჯარს ქვებს ჯოხს, რითაც დაშავდა ორი ყაზახთა ოფიცერი, ორი თანაშემწე ბოქაულისა, რამდენიმე ყაზახი და პოლიციის მოხელე. ირკვევა დარბეულ მაღაზიების რაოდენობა და საერთო ზარალი. როგორც მოვიხსენიეთ, არეულება გამოიწვია სიძვირემ, რისთვისაც წინდაწინვე ყოველივე ზომა იყო მიღებული. ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ გარემოებას, რომ კავკასიაში რკინის გზის მხოლოდ ერთი ლიანდაგია და ეს ვერ აკმაყოფილებს როგორც მცხოვრებთ, ისე ჯარს. ამიტომ არის ხანა, როცა ჯარის არსებით მოთხოვნილების დაკმაყოფილებით რამდენადმე იჩაგრება მცხოვრებთა ინტერესები. არეულობის ყოველმხრივ გასაგებად და აგრეთვე არეულობის ჩასაქრობ ზომების გასაცნობად მოვახდინე განკარგულება, რომ კამერ-იუნკერმა პოტულოვმა, სასამართლოს მოხელეების გამოძიების მიუხედავად, დაწვრილებით გამოიკვლიოს არეულობის პირობები. თუ გამოირკვევა უმოქმედობა ან დანაშაულობა პოლიციისა ან უმაღლეს სხვა მოხელესი, ისინი დასჯილი იქნებიან. რამდენიმე დღე აკრძალული იყო გაზეთებში ბაქოს შესახებ ცნობების მოთავსება, რომ საქმის ნამდვილი მდგომარეობა გამოგვერკვია".

სახელმწიფო სათათბირო მეფის მოადგილის პასუხს სხვა სხდომაზე განიხილავს.

## დაბა-სოფლები

**ს. ტეზერი** (გორის მაზრა). სოფ. ტეზერი მდებარეობს დაბა ხაშურის მახლობლად, ბათუმისაკენ მიმავალი რკინის გზის მარჯვენა ნაპირზე.

როგორც მოგეხსენებათ, თითქმის, მთელ ქართლში დიდი მოუსავლობა იყო ჭირნახულისა, და რაც მოვიდა ხეირიანადაც ვერ დაიმუშავეს მუშა ხელის უქონლობის გამო.

ასევე მოხდა ტეზერშიაც.

ამ უბედურობასთან ერთი დიდი უბედურობაც დაატყდა ტეზრის მცხოვრებლებსა. დაბრუნდნენ, ომში გადარჩენილები, ნახევრად დასახიჩრებულდაჭრილნი ჯარის კაცნი, რომელნიც უსაქმოდ სხედან გამოცარიელებულს სახლში; მათ ცხოვრება უნდათ, ჭამასმა,—მუქთად კი ვინ შეინახავს? ამისათვის მათ მიჰმართეს ერთს საშუალებას: ეს საშუალება არ იყო წმინდა ოფლის ღვრა, ეს არ იყო ის რაც ერთისა და ათასისათვის საჭიროა; ეს საშვალება ჰპოვეს მათ ბანქოს თამაშში, ბანქოს თამაში თავიდან გასართობ ხასიათისა იყო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, როდესაც მათში სოფლის მუშა ხალხი ჩაერია, თამაში გამწვავდა. თამაშობა ხშირად ბოლოვდება დიდი ლანძღვა-გინებით და ხანდახან ჩხუბითაც.

ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ სოფელში რამდენიმე ქურდობა მოხდა და დამნაშავე კი ვერ აღმოაჩინეს.

საჭიროა მალე ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას ადგილობრივმა ინტელიგენციამ და სოფლის საზოგადოებამ.

**გიორგი ორჯონიკიძე.**

## პროვინციის ქრონიკა

**ს. გუდაუთი.**

ს. გუდაუთის მცხოვრებლებმა გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, ნება დართოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დაარსებისა.

**ს. ქალა და ს. ოყურეში.**

აქაურ მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს დააარსონ მომხმარებელი საზოგადოება „იმედი" და „მოლოდინი".

**დ. ზუგდიდი.**

დ. ზუგდიდის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, ნება დართოს დააარსონ დ. ზუგდიდში სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

ასეთივე შუამდგომლობა აღძრეს დ. გუდაუთის (სოხ. ოლქ.) მცხოვრებლებმა, რომ ნება დართოს დააარსონ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება ს. გუდაუთში.

**ს. ნოქალაქევი.**

ორი კვირის წინად აქ გახსნეს მომხმარებელი კოოპერატიული დუქანი „შრომა"-ს კავშირის განყოფილების მაღაზია. ვაჭრობა სასურველად მიმდინარეობს.

**სოფ. ხობი.**

აქ შეიმუშავეს კოოპერატიული საზოგადოების წესდება და მალე გაეგზავნება ქუთ. გუბერნატორს დასამტკიცებლად.

**დ. ჭიათურა.**

დ. ჭიათურაში არსდება ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოების განყოფილება.

**დ. სამტრედია.**

დ. სამტრედიის მხარეს უკვე შიმშილობაა. ბევრია ისეთი ოჯახი, რომ სიმინდს აგერ ორი თვეა რაც ყიდულობს. მიუხედავათ ასეთი გაჭირვებისა, ათასგვარმა სახელმწიფო გადასახადმა წელში გასწყვიტა ხალხი. გლეხის შემოსავლის წყარო კი დაიშრიტა. საკოოპერაციო დუქანს სიმინდი დაკვეთილი აქვს, მაგრამ ჯერ არ მოსულა.

**ს. ნახუნოვო** (სენაკ. მაზ.)

ადგილობრივ მცხოვრებს ფილიპე შავდიას თავს დაესხა 6 შეიარაღებული ბოროტმოქმედი, წაართვეს 40 მან. და 100 მან. სხვა და სხვა სამკაული.

## სომეხთა ცხოვრება

თბილისში ჩამოვიდა ინგლისის პარლამენტის წევრი ბეკსტონი, გადმოხვეწილების მდგომარეობის დასათვალიერებლად.

— სომეხთა ცენტრ. კომიტეტის და კავკასიის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელი შარათიანი იტყობინება, რომ მან დაასრულა სპარსეთის და კავკასიის ასპარეზზე ქრისტიან გადმოხვეწილთა აღწერა.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთ „საქართველო"-ს საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო ყვარელის ფოშტის განყოფილების უფროსს ალ. ნიკ. ბ-ნ ლალიევს, რომელმაც თავისის დაუღალავის შრომით ხელი შეგვიწყო ჩემდამი რწმუნებულ ყვარელის სკოლის მოწაფეთათვის „საბავშვო დღესასწაულის" მოწყობაში ამა თებერვლის 19-ში.

მადლობას ვუცხადებ აგრეთვე იმათ, რომელთაც დახმარება აღმოგვიჩინეს სურათების დროებითი დათმობით.

ყვარელის სამინისტრო სკოლის გამგე **ალ. არავიაშვილი.**

## შემოწირულება

**ქართული თეატრის სასარგებლოდ კავკასიის ასპარეზზე მყოფთა შორის შეგროვილი:**

ექიმი ა. დ. კეკელია 30 მან., ა. დ. ციციშვილი 25 მ., გ. ქ. ჯაფარიძე 25 მ., ბეითალი გ. ი. ზაუტაშვილი 20 მან.

**გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.**

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ,

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Croix Rouge.
> Agence des prisonniers de guerre Genève.

... ათ ათი მან. ექიმი გრ. რევვავა, კ. ი. აბზიან[illegible], პოლკოვნიკი [illegible] მექევიძე, პრაპ. ლ. ფარესიშვილი, პრაპ. კუხალაშვილი, პრაპ. ვ. ექვთიმიშვილი, კ. ლაშხი, მ. ს. ჩიკვაიძე, კ. დ. ჩოლოყაშვილი, ს. ს. მაჭავარიანი 7 მან. ხუთხუთი მან. ს. ხაინდრავა, ელ. სკოგლენდი, ე. კაზაროვი, ი. ქარუმიძე, თ. ჭინჭარაძე, ფ. ვოლჩოვი, ექიმი გოგიტიძე. პ. ხვარცალა 4 მან. სამ-სამი მანეთი: ფ. ხაინდრავა, ა. ანთაძე, პორუჩ. ბარისოვი, ვაიფენჯიანი, ი. სოლომონოვი, გ. პაპასკირი, ვ. ციუმა, X სვან. მოწ. და ა. ბელიანსკაია, ნ. ყიფიანი. ორ-ორი მან.: ე. ს. ანთელავა, გ. დ. კეკელია, გ. გოპიძე, ლ. დოლიძე, გ. ქართველიშვილი, ე. მილორავა, გ. მაქაცარია. პრაპ. გუგო 1 მ. 50 კ., ი. ვაცაძე 1 მ. 50 კ. ვ. ხოლინაშვილი 1 მან. ნ. დ. გრიგორაშვილი. სულ 305 მან.

ზემო აღნიშნული ფული მივიღე ექიმ ალექსანდრე დავითის ძის კეკელიძისაგან.

**თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | 8.53 საღ. |
| „ | საფ. „ | 3 | 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | 10.20 საღ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | 12.8 დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | 9.30 საღ. |
| „ | სამგ. „ | 10 | 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | 7.41 საღ. |
| „ | სამგ. „ | 7 | 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 8.8 დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

თბილისიდან გადის:

| | | |
|---|---|---|
| ტფილისიდან | 8 ს. 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 | „ „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 | „ „ |
| ვაზიანიდან | 10 „ 42 | „ „ |
| იორიდან | 11 „ 35 | „ „ |
| საგარეჯოდან | 12 „ 17 | „ „ |
| ბადიაურიდან | 1 „ 15 | დღის |
| მელაანიდან | 2 „ 37 | „ „ |
| გურჯაანიდან | 4 „ 08 | „ „ |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ 58 | „ „ |
| თელავში მიდის | 5 „ 35 | „ „ |
| გურჯაანიდან | 4 „ 18 | „ „ |
| კარდენახიდან | 4 „ 50 | „ „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 | „ „ |

**თელავიდან**

| | | |
|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ 45 | „ „ |
| გურჯაანიდან | 10 „ 46 | „ „ |
| მელაანიდან | 12 „ 02 | „ „ |
| ბადიაურიდან | 1 „ 13 | „ დღის |
| საგარეჯოდან | 2 „ 15 | „ „ |
| იორიდან | 2 „ 53 | „ „ |
| ვაზიანიდან | 3 „ 40 | „ „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ 31 | „ „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 | „ „ |
| თბილისში მიდის | 5 „ 01 | „ „ |
| წნორის-წყლიდან | 9 ს. 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ 46 | „ „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ 16 | „ „ |


წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეძველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გამგეის შესახვევი № 4.